პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

პარასკევი, 5 იანვარი, 1951 წ. №4 (8858). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის—მოწინავე (1-ლი გვერდი).
ახალი მიღწევებით შევხვდეთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს (1-ლი გვერდი).
საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი).
პასუხსაგები, საპატიო ამოცანის შესასრულებლად (მე-2 გვერდი).
მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების მძლავრი საშუალება (მე-2 გვერდი).
კანდიდატების წამოყენება საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში (მე-2 გვერდი).
სოხუმის თეატრის სპექტაკლები (მე-3 გვერდი).
ვილჰელმ პიკის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა ბერლინში (მე-3 გვერდი).
ბოლესლავ ბერუტის საპასუხო წერილი (მე-3 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის 3 იანვრის სხდომა (მე-4 გვერდი).
კიმ ირ სენის საახალწლო მიმართვა ხალხისადმი (მე-4 გვერდი).
გოტვალდის საახალწლო გამოსვლა (მე-4 გვერდი).
კორეის ამბები (მე-4 გვერდი).

ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის

ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს მზრუნველობას იჩენენ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ფიზიკური აღზრდისათვის. სახელმწიფო ბიუჯეტით ყოველწლიურად მილიონობით მანეთი იხარჯება სასპორტო ბაზებისა და დარბაზების მშენებლობაზე, სასპორტო ინვენტარის შესაძენად და ფიზკულტურელთა კადრების მოსამზადებლად.

ფიზიკური კულტურა და სპორტი დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ხალხთა ბრძენი ბელადი ამხანაგი სტალინი მოგვიწოდებს: „აღვზარდოთ ჯანსაღი, სიცოცხლით სავსე მუშათა ახალი თაობა, რომელიც შეძლებს სათანადო სიმაღლეზე აიყვანოს საბჭოთა ქვეყნის ძლიერება და მკერდით დაიცვას იგი მტრების თავდასხმისაგან". ამ სტალინურ მოწოდებას ფართოდ გამოეხმაურა საბჭოთა ხალხი. ქალაქებსა და სოფლებში, ფაბრიკა-ქარხნებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში შეიქმნა ფიზკულტურული კოლექტივები, რომლებშიც გაერთიანებულია ათასობით მშრომელი. ხოლო მას შემდეგ, რაც საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1948 წლის 27 დეკემბერს მიიღო დადგენილება ფიზიკური კულტურისა და სპორტის შესახებ, ფიზკულტურული მოძრაობა ჩვენს ქვეყანაში უდიდესი აღმავლობის გზით წავიდა.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მშრომელთა ფიზიკური აღზრდა მოქმედების საბრძოლო პროგრამად დაუსახა პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ, ფიზკულტურულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. სწორედ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობისა და დახმარების შედეგად მოიპოვეს მნიშვნელოვანი წარმატებანი საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა.

გასული წლის შედეგები ცხადყოფენ ჩვენს რესპუბლიკაში მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომ აღმავლობას. შარშან არა მარტო გაიზარდა ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივთა და მათში გაერთიანებულ ფიზკულტურელთა რაოდენობა, არამედ შესამჩნევადაც ამაღლდა ქართველი სპორტსმენების ოსტატობა, ფიზკულტურელ რეკორდსმენთა არმია შეივსო ახალი, მზარდი ჭაბუკებითა და ქალიშვილებით, რომლებმაც რესპუბლიკურ და საკავშირო ასპარეზზე თავი გამოიჩინეს როგორც დახელოვნებულმა სპორტის ოსტატებმა.

ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობის შედეგად გაიზარდა მშთ I და II საფეხურის, აგრეთვე იმშთ ნიშნოსნების რაოდენობა. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ბევრგან განხორციელდა მნიშვნელოვანი ფიზკულტურული ღონისძიებანი, რამაც გამოავლინა ფიზკულტურისა და სპორტის ახალი ენთუზიასტები, ხელი შეუწყო თანრიგოსნებისა და ფიზკულტურელთა საზოგადოებრივი კადრების მომზადებას. ამ მხრივ მეტად ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს აფხაზეთისა და აჭარის, ქალაქ თბილისის, ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის რაიონის, აგრეთვე საჩხერის, მახარაძის, გორისა და ზოგიერთი სხვა რაიონის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა. წინა წლებთან შედარებით შარშან სერიოზული წარმატებანი მოიპოვეს უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების ფიზკულტურულმა კოლექტივებმა. ამ კოლექტივებში მთელი წლის მანძილზე კარგად იყო დაყენებული ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდა. ბევრი რამ გაკეთდა სასპორტო ბაზების კეთილმოსაწყობად და სათანადო სასპორტო ინვენტარით შესავსებად.

მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ კოლექტივებს კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი. მათ მნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად მუშაობაში ჯერ კიდევ აქვთ სერიოზული ნაკლოვანებანი, რომელთა გამოსწორებისათვის აქედანვე უნდა მიიღონ ზომები.

რა ხასიათისაა ეს ნაკლოვანებანი?

ჯერ-ერთი, დღემდე მიღწეული არ არის ნამდვილი მასობრიობა ფიზკულტურულ მოძრაობაში. ქალაქებსა და რაიონებში ბევრია ისეთი საწარმო და დაწესებულება, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, სადაც ჯერაც არ არის შექმნილი ფიზკულტურული კოლექტივები, ხოლო არსებული კოლექტივებიდან მნიშვნელოვანი ნაწილი სუსტად მუშაობს ან საერთოდ უმოქმედობას იჩენს.

მეორეც, ფიზკულტურულ კოლექტივებში გაერთიანებული ახალგაზრდებიდან ყველა არ არის ჩაბმული მეცადინეობაში, ხოლო უფროსი ასაკის მშრომელები საერთოდ ნაკლებად მეცადინეობენ სასპორტო წრეებში. ამასთან ერთად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მუშაობა ფიზკულტურელთა სპორტული ოსტატობის სრულყოფისათვის, საკმაოდ გაშლილი არ არის ბრძოლა ახალი რეკორდების მოსაპოვებლად, რის შედეგადაც ნელი ტემპით იზრდება რაიონული, საქალაქო და რესპუბლიკური რეკორდების რიცხვი.

კვლავ სუსტად არის დაყენებული ფიზკულტურული მუშაობის მასობრიობისათვის ბრძოლა სოფლად. სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭო სუსტად ხელმძღვანელობს საკოლმეურნეო ფიზკულტურულ კოლექტივებს, საკმაოდ არ ეხმარება მათ სასპორტო ღონისძიებათა განხორციელებაში. ის ფაქტი, რომ შარშან საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების გეგმები ვერ შეასრულეს ნებაყოფლობითმა სასპორტო საზოგადოებებმა „ლოკომოტივმა", „სტროიტელმა", „შრომითმა რეზერვებმა", „ტრუდმა" და სხვ., მოწმობს ამ საზოგადოებათა სუსტ მუშაობას. მთელი რიგი რაიონების, მათ შორის ადიგენის, კასპის, დმანისის, წითელწყაროს, ცხაკაიას, წულუკიძის რაიონების ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად ვერ უზრუნველყვეს მშთ II საფეხურის ნიშნოსანთა მომზადების გეგმის შესრულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი ნაკლებ მომთხოვნელობას იჩენს და სათანადოდ ვერ ეხმარება ფიზკულტურის საქმეთა რაიონულ და საქალაქო კომიტეტებს, აგრეთვე ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებების საქალაქო და რესპუბლიკურ საბჭოებს.

საქართველოს ფიზკულტურელთა არმია საბჭოთა ქვეყნის ფიზკულტურელთა ერთ-ერთი მოწინავე რაზმია. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები სამართლიანად მოელიან თავიანთი ფიზკულტურელებისაგან სასპორტო მუშაობის შემდგომ აღმავლობას, მის ჭეშმარიტ მასობრიობას, ქალაქად და სოფლად მშრომელთა ფიზიკური აღზრდის სანიმუშოდ დაყენებას.

ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მოვალეობაა უფრო კონკრეტულად უხელმძღვანელონ და დაეხმარონ ფიზკულტურულ ორგანოებს მუშაობის გაუმჯობესებაში, სასპორტო ღონისძიებათა განხორციელებაში, სასპორტო ბაზების კეთილმოწყობასა და ინვენტარის შეძენაში.

ზამთრის სასპორტო სეზონი გამოვიყენოთ ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის შესახებ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ბოლშევიკურად განხორციელებისათვის — ასეთია ამოცანა.

ქ. მარქსისა და ფ. ენგელსის რჩეულ ნაწარმოებთა მეორე ტომი ლატვიურ ენაზე

რიგა. (საკდესი). აქ ლატვიურ ენაზე გამოვიდა ქ. მარქსისა და ფ. ენგელსის რჩეულ ნაწარმოებთა ორტომეულის მეორე ტომი.

რუსული გამოცემიდან თარგმანი შესრულდა ლატვიის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა — საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალმა.

გაშენებულია 1.526 ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაცია

მიმდინარე 1951 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს კოლმეურნეობებში გაშენებულია 1.526 ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაცია ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.410 ჰექტარისა. რესპუბლიკური დავალება შესრულებულია 108,2 პროცენტით.

გეგმა ყველგან წარმატებით არის შესრულებული, გარდა აბაშის რაიონისა, სადაც 50 ჰექტარის ნაცვლად მხოლოდ 25 ჰექტარი ჩაი დათესეს.

ახალი მიღწევებით შევხვდეთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს

მეტი და მაღალხარისხოვანი აბრეშუმის ქსოვილი

გასული სამეურნეო წელი თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში წარმატებით დაამთავრეს. ფეიქართა ეს მოწინავე კოლექტივი ახლა იმისათვის იბრძვის, რომ წელს, გასულ წელთან შედარებით, 40 პროცენტით მეტი აბრეშუმის სხვადასხვა ქსოვილი მისცეს სამშობლოს.

ამჟამად ფაბრიკაში ითვისებენ მრავალი ახალი ასორტიმენტის ქსოვილის გამოშვებას. იწყებენ სილამაზითა და გამძლეობით გაუმჯობესებული ხარისხის კრეპდეშინის ქსოვას. სადა, ზოლიანი აბრეშუმის ტილოს ქსოვილი, რომელიც შტაპელური ნართისა და ბამბის ნარევს წარმოადგენდა, წელს წმინდა შტაპელური ნართისაგან მოიქსოვება. შეუდგნენ აგრეთვე მრავალნაირად დაჩითული კრეპჟორჟეტის გამოშვებას.

საამქროებში დაზგა-დანადგარები სრულ წესრიგშია მოყვანილი. საქსოვ საამქროში უკვე დაამონტაჟეს გაუმჯობესებული ტიპის 4 ახალი აბრეშუმსაქსოვი დაზგა — „უკრ-49". წელს 16 ასეთ ახალ საქსოვ დაზგას მიიღებენ ფაბრიკაში.

ახალი სამეურნეო წლის დაწყების პირველი დღეებიდანვე წარმატება მოიპოვა საქსოვმა საამქრომ, რომელიც დღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს. დ. ალიბეგაშვილის, ა. ხაჩატუროვისა და ს. ფაჩუაშვილის ბრიგადები ძვირფასი ქსოვილების გამოშვებაზე მუშაობენ. თვითეული ბრიგადა დღიურ დავალებას 10-15 პროცენტის გადაჭარბებით ანაღდებს. მქსოველებს შორის საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს ა. სიხარულიძემ, ე. ნიკულინამ, ე. მეხრაძემ, ნ. ჩიტიძემ და ე. ურთაშვილმა. ბრიგადებსა და ინდივიდუალურად მქსოველებს შორის ფართოდაა გაშლილი შეჯიბრება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და საბჭოთა საქართველოს XXX წლისთავის აღსანიშნავად.



თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის უფროსმა მექანიკოსმა ი. ნიკოლაიშვილმა შეიმუშავა მანქანა-დანადგართა რემონტის ახალი მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მანქანა-დანადგარის შეუფერხებელ მუშაობას. **სურათზე**—ი. ნიკოლაიშვილი შეხვენების დროს ფეხსაცმლის საკერავი მანქანის პროფილაქტიკური შემოწმებისას.

გარდატეხის დღეები

ახალი სამეურნეო წლის პირველი დღეები თბილისის ტყავის გადასამუშავებელ პირველ ქარხანაში მუშაობის გარდატეხის დღეებად გადაიქცა. 2 იანვრიდანვე ქარხნის კოლექტივი ორგანიზებულად შეუდგა ახალი წლის საწარმოო დავალებათა შესრულებას. ამ დღეს ქარხნის ყველა საამქრომ შეასრულა დღიური გეგმა.

წელს ქარხნის კოლექტივს 12 პროცენტით გაუდიდეს საწარმოო დავალება. 1950 წელს კი ქარხანამ 80 პროცენტით მეტი პროდუქცია გამოუშვა, ვიდრე 1949 წელს. მიუხედავად იმ შეფერხებებისა, რასაც ამ ქარხნის კოლექტივი გასული წლის პირველ ნახევარში განიცდიდა ნედლეულის მოუმარაგებლობით, ქარხნის კოლექტივმა წლის მეორე ნახევარში შეძლო რიტმულად მუშაობის დანერგვა, ჩამორჩენის ლიკვიდაცია და წლიური გეგმის პირნათლად შესრულება.

ამჟამად ქარხანაში აღარ ჰყავთ არც ერთი ისეთი მუშა, რომელიც დავალებას მნიშვნელოვანი გადაჭარბებით არ ასრულებდეს. 2, 3 და 4 იანვარს მუშათა შრომის ნაყოფიერება საშუალოდ 145 პროცენტს უდრიდა. ქარხნის შეუფერხებელი მუშაობისათვის მომარაგებულია საჭირო ნედლეული, დამხმარე მასალები და ქიმიკატები. ქარხანა იანვრის პირველი დღეებიდანვე გრაფიკით მუშაობს. გრაფიკი ისეა აგებული, რომ უზრუნველყოფილი იქნეს იანვარ-თებერვლის გეგმის შესრულება საბჭოთა საქართველოს XXX წლისთავისათვის.

ახალი წლის დასაწყისიდანვე აქ შეუდგნენ შრომატევადი პროცესების მექანიზაციის განხორციელებას. უახლოეს ხანში საცეხებით მექანიზებული იქნება ავზებში ნედლი ტყავის ჩატვირთვისა და მზა პროდუქციის გადმოტვირთვის ოპერაციები.

მაღაროს კოლექტივი რენტაბელურად მუშაობს

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურელი მაღაროელები თავდადებულად მუშაობენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღის ღირსეულად შეხვედრისათვის.

რენტაბელურად მუშაობს კაგანოვიჩის სახელობის მაღარო, რომელმაც 21 დეკემბრისათვის შეასრულა 1950 წლის გეგმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მაღაროს კოლექტივმა 102,8 პროცენტით შეასრულა პირველი ხარისხის მარგანეცის დამზადების წლიური გეგმა და გასული წლის მარტო თერთმეტ თვეში 2.227.100 მანეთის ეკონომია გასწია.

თავდადებულად შრომობენ სტახანოველები: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი პ. ბოყოველი, ქ. გაფრინდაშვილი, ძმები აკაკი და ნიკოლოზ გაფრინდაშვილები, მ. ღულუნიშვილი და სხვები, რომლებიც დღიურ ნორმებს 200-250 პროცენტით ასრულებენ.

ამ მაღაროს კოლექტივი მეოთხე თვეა ინარჩუნებს მარგანეცის ტრესტისა და მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ჭიათურის რაიკომის გარდამავალ წითელ დროშას.

ვალდებულება შესრულებულია

გურჯაანი. (საკ. კორ.). გურჯაანის აგურ-კრამიტის ქარხნის კოლექტივმა წარმატებით შეასრულა ნაკისრი ვალდებულება — ვადაზე 15 დღით ადრე 125 პროცენტით განაღდა აგურის გამოშვების გასული წლის გეგმა, ხოლო კრამიტისა — 152 პროცენტით.

სტახანოველებმა ვ. ქურთიაშვილმა, თ. შუბაშვილმა, ო. ბაგდაშოვამ, ს. შელკანოვმა და სხვებმა წლიური გეგმები 160-200 პროცენტით შეასრულეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების დღეებში ქარხანაში ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. ქარხნის კოლექტივმა იკისრა 1951 წლის პირველი კვარტალის გეგმა შეასრულოს არჩევნების დღის — 18 თებერვლისათვის.

ს ა ბ ჭ ო თ ა კ ა ვ შ ი რ შ ი

ალიშერ ნავოის ხსოვნისათვის

სტალინაბადი, 3 იანვარი. (საკდესი). დღეს ტაჯიკეთის საზოგადოებრიობა აღნიშნავს უზბეკი ხალხის გენიალური პოეტის, უზბეკური ლიტერატურის ფუძემდებლის ალიშერ ნავოის გარდაცვალების 450 წლისთავს.

ფირდოუსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში გაიხსნა წიგნისა და ილუსტრაციის დიდი გამოფენა, მიძღვნილი ალიშერ ნავოის შემოქმედებისა და მისი ეპოქისადმი. გამოფენაზე წარმოდგენილია პოეტის ნაწარმოებები, მათ შორის ოცამდე ხელნაწერი.

ალიშერ ნავოი ტაჯიკური ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწის აბდურახმან ჯამის თანამედროვე და მეგობარი იყო. გამოფენაზე არის აბდურახმან ჯამის ლექსების ხელნაწერი კრებული, დათარიღებული 1526 წლით. ეს კრებული უზბეკეთის მშრომელებმა ტაჯიკ ხალხს მიუძღვნეს ტაჯიკეთის სსრ XX წლისთავის აღსანიშნავად. გამოფენის ცალკე განყოფილებაშია ალიშერ ნავოის ნაწარმოებნი, რომლებიც გამოიცა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში.

ბ. გ. ბელინსკის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გამოუშვა „ლიტერატურული მემკვიდრეობის" მორიგი ტომი, მიძღვნილი დიდი რუსი კრიტიკოსის და რევოლუციური დემოკრატის ბ. გ. ბელინსკისადმი.

პირველ ნაწილში, რომლის სათაურია „ბელინსკის უცნობი ფურცლები", მოთავსებულია საბჭოთა მკვლევარების მიერ აღმოჩენილი დიდი კრიტიკოსის სტატიები და რეცენზიები, რომლებიც მას „ოტეჩესტვენნიე ზაპისკისა" და „ლიტერატურნაია გაზეტასთვის" დაუწერია და რომლებიც მის თხზულებათა არც ერთ კრებულში არ შესულა.

ტომში მოთავსებულია აგრეთვე ა. ი. გერცენთან და სხვა გამოჩენილ თანამედროვეებთან ბ. გ. ბელინსკის გამოუქვეყნებელი მიწერ-მოწერის მასალები. სამემუარო დოკუმენტებს შორის განსაკუთრებით საინტერესოა ნაწყვეტები ი. ა. გონჩაროვის მოგონებებიდან ბ. გ. ბელინსკის შესახებ.

ტომის მეორე ნახევარი შეიცავს გამოკვლევებს ბ. გ. ბელინსკის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესახებ. სტატიებში დაწვრილებით გაშუქებულია ბ. გ. ბელინსკის სტუდენტობის წლები, აგრეთვე მოყვანილია ისტორიული მონაცემები, რომლებიც მოწმობენ დიდი რუსი კრიტიკოსის პოპულარობას სლავურ ქვეყნებში, მისი შემოქმედების გავლენას მსოფლიოს პროგრესულ პუბლიცისტიკაზე.

წიგნში მოთავსებულია 178 ილუსტრაცია.

ვოლგა-დონის არხის ტრასზე

ციმლიანსკაია (როსტოვის ოლქი), 3 იანვარი. (საკდესი). სულ უფრო ფართოვდება სამუშაოები ვოლგა-დონის არხის მშენებლობაზე.

ციმლიანსკაიას ჰიდროკვანძის მშენებელთა კოლექტივმა ახალი წლის პირველი დღეები ბეტონსაზიდი ესტაკადის ამუშავებით აღნიშნა. ამ ნაგებობის სიმაღლე ოც მეტრს აღემატება, სიგრძე კი დაახლოებით ნახევარი კილომეტრია.

მძლავრი პორტალური ამწეები ბეტონს ესტაკადით მიაწვდიან კაშხალის ძირითად ნაწილში დასაგებად. ისინი ბევრად დააჩქარებენ მშენებლობის ტემპს. პორტალური ამწეების საშუალებით მექანიზატორები რკინა-ბეტონის არმატურას გამართავენ წყალსაშვებ კაშხალში.

ჰიდროკვანძის მშენებლობის უბანზე დაგებულია 50 კილომეტრი რკინიგზის ლიანდაგი, რომელიც გათვალისწინებულია სამუშაო ადგილებთან სამშენი მასალების მისაზიდავად.

წარმატებით მიმდინარეობს სამუშაოები მშენებლობის სხვა უბნებზეც. კარგად შრომობენ ჰიდრომექანიზატორები. პირველი ასეული ათასი კუბური მეტრი გრუნტი ამოღებულია ექსკავატორებით დონის მაგისტრალურ არხზე. გაზაფხულზე აქ ამუშავდება ურალელი მანქანათმშენებლების მიერ დამზადებული ზემძლავრი ელექტროექსკავატორი. მექანიკოსებმა ვალდებულება იკისრეს ორ თვეში დაამთავრონ ამ აგრეგატის მონტაჟი.

მიწის სამუშაოთა ფრონტი ფართოვდება ქვემო დონის და აზოვის განმანაწილებელ არხებზე.

ამუშავდა დიზელის დანადგარი, რომელმაც ელექტროენერგია მიაწოდა დამხმარე სახელოსნოებს, გაანათა მშენებელთა სახლები. მაგისტრალურ არხზე სამრეწველო დენის მისაღებად გამზადებულია მძლავრი ქვესადგური და მაღალვოლტიანი ხაზის პირველი რიგი.

ჰიდროკვანძისა და სარწყავი არხების მშენებლობასთან ერთად გაჩაღებულია სამუშაოები დონის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე. აქ აშენებენ ორ ქალაქს ჰიდროკვანძის საექსპლოატაციო დარგის მუშაკებისათვის — მემდინარეებისა და ელექტრიკოსებისათვის. ახალი კეთილმოწყობილი დაბები გაშენდა მომავალი სარწყავი არხების რაიონში. ბევრი საცხოვრებელი სახლის გარდა, ველზე აშენდა სკოლები, კლუბები, ამბულატორიები.

ვოლგა-დონის არხის ტრასზე მუშაობა სულ უფრო ჩაღდება. ციმლიანსკაიას სადგურზე ყოველდღიურად მოდის ასობით ადამიანი, რომლებსაც მშენებლობაზე მუშაობა სურთ. განუწყვეტელ ნაკადად მოდის სხვადასხვა მასალით დატვირთული ეშელონები. დღეს ციმლიანსკაიას ჰიდროკვანძისა და დონის მაგისტრალური არხის მშენებლებმა ბევრი ხე-ტყე და ასაწყობი სახლები მიიღეს. მოვიდა მძლავრი სკრეპერები, ელექტროტრანსფორმატორები და სხვა მოწყობილობა.

ვოლგა-დონის არხის მშენებლებთან

გოლუბაია მარტინოვკა (როსტოვის ოლქი). (საკდესი). იქ, სადაც ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ მიყრუებული ველი იყო, ამჟამად აღმართულია საცხოვრებელი შენობები, გაჩნდნენ საწარმოები. დონის მომავალი მაგისტრალური არხის რაიონში, რომლის სათავეც ციმლიანსკაიას წყალსაცავი იქნება, გაშენდა საორიგაციო ნაგებობათა მშენებლების კეთილმოწყობილი დაბები.

მთავრობის დადგენილებას მშენებლები უპასუხებენ მუშაობის ტემპის გაძლიერებით. ვოლგა-დონის არხის ტრასზე ბევრი რთული მექანიზმი მუშაობს. დონის სამაგისტრალო არხზე სტახანოველი ამხ. შეველიოვი ნორმას ყოველდღე გადამეტებით ასრულებს, მძლავრმა ექსკავატორმა, რომელსაც ის მართავს, არ იცის არც მოცდენა, არც დაზიანება. მთელ მშენებლობაზე სახელგანთქმული არიან აზოვის არხის მოწინავე სტახანოველები. აქ ყველაზე უკეთ შრომობენ მიწისმთხრელ მანქანათა წამყვანნი ამხანაგები — გოლჩენკო, სიბაგატულინი და სხვები.

მექანიკოს სედოვას მეთოდი — საფეიქრო მრეწველობის ყველა საწარმოს

ჩვენი ქვეყნის ბევრი სამკერვალო საწარმო წარმატებით იყენებს მოწყობილობის რემონტისა და გამართვის მეთოდს, რომელიც მოსკოვის № 5 სამკერვალო ფაბრიკის მექანიკოსმა ეკატერინე სედოვამ შემოიღო. მან ჩინებულად მოაწყო თავის საწარმოში მანქანების პროფილაქტიკური რემონტი და უწესივრო მექანიზმების სწრაფად შეცვლა, ასწავლა მოტორისტებს მცირე უწესივრობათა დამოუკიდებლად გამოსწორება. ამან უზრუნველყო შეუფერხებელი მუშაობა და მოწყობილობის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ამის შედეგად მარტო მოსკოვის სამკერვალო ფაბრიკებში 64 პროცენტით შემცირდა მანქანების მოცდენა. ამასთან მიღწეულია დეტალებისა და დამხმარე მასალის მნიშვნელოვანი ეკონომია.

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მითითებით ამხ. სედოვას მეთოდი შემოღებულ იქნება სამკერვალო მრეწველობის ყველა საწარმოში. (საკდესი).

დიდი მოგებანი

ახალი წლის წინადღეს შემნახველმა სალაროებმა დაიწყეს სახელმწიფო ორპროცენტიანი სესხის მოგებათა განაღდება. ამ სესხის მორიგი ტირაჟი მოხდა იაროსლავლში.

ათასობით მოსკოველი მივიდა ამ დღეს შემნახველ სალაროებში. მათ გასანაღდებლად წარადგინეს ბევრი ობლიგაცია, რომლებსაც დიდი მოგება ხვდა. კრასნაია პრესნიის რაიონის № 1569 შემნახველ სალაროში წარადგინეს ობლიგაცია, რომელზეც 25 ათასი მანეთი მოიგო და 8 ობლიგაცია, რომელთაგან თვითეულმა 10 ათასი მანეთი მოიგო. 25 ათასი მანეთი მოგების ობლიგაციები გასანაღდებლად წარადგინეს აგრეთვე № 1, № 14, № 20 და სხვა შემნახველ სალაროებში.

მოსკვორეცკის რაიონის შემნახველმა სალაროებმა ერთ დღეს გასცეს თითქმის 600 ათასი მანეთი მოგება, კიევის რაიონის შემნახველმა სალაროებმა — 900 ათასამდე მანეთის. დიდი თანხები გასცეს აგრეთვე ლენინგრადის სხვა რაიონების შემნახველმა სალაროებმა.

მოგებათა განაღდება გრძელდება. (საკდესი).

პარტიული ცხოვრება

პასუხსაგები, საპატიო ამოცანის შესასრულებლად

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეს 17 დეკემბერს სოფელ სიფერიშვილის ამომრჩეველება უკანონოდ გამოცხადდნენ საარჩევნო უბანში და ხმა მისცეს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინურ ბლოკს კანდიდატებს. ამ წარმატებაში თვალსაჩინო როლი შეასრულა ჩვენმა აგიტპუნქტებმა.

ახლა, როცა საკართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით ახალი ძალით გაჩაღდა მასობრივ-პოლიტიკური შუშაობა, ჩვენი აგიტპუნქტების წინაშე კვლავ დაისახა პასუხსაგები ამოცანა — ხელი შეუწყოს მასების აქტივობის ზრდას, უფრო განაცალკევოს კაენრი ამომრჩეველებთან, უფრო საინტერესო და ზნეობრივი გახადოს თავისი მუშაობა.

გაზეთებს ყოველდღიურად მოაქვთ ახალი, საყურადღებო ამბები. ბოლშევიკური, მართალი სიტყვა დაუფარებლად მიაქვთ აგიტატორებს ამომრჩევლებთან. მშრომელები თავს იყრიან აგიტპუნქტებში, რათა ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი აზრები. აქ მათთვის იმართება საუბრები, ლექციები.

შუშაობის უფრო საინტერესოდ გაყენებაში დიდ დამპარაბის გვიჭერენ თვითონ ამომრჩეველები. ჩვენი შუშაობის პრაქტიკაში დამკვიდრდა აგიტპუნქტში მოსულთა წინაშე რომელიმე ამომრჩეველის გამოსვლა საუბრით. ამომრჩეველი მსმენელებს მოუთხრობს იმ დიდ ცვლილებებზე, რაც მთელ თავაზურ ხდება ჩვენს მშობიერ ქვეყნებში. დიდი პოპულარობით სარგებლობს მოხუცი მთიელების საუბრები ახალგაზრდა ამომრჩეველებთან. უკანასკნელ ხანებში ახალგაზრდა ამომრჩეველებს მთის სოფლების ცხოვრების წარსულიდან მოუთხრეს ღრმად მოხუცებულმა კოლმეურნეებმა ბ. ბეგოევმა, კ. ხინჩაგოვმა, ნ. ბეგოევმა, ქ. ფილიეფმა. მათმა საუბრებმა ახალგაზრდებს სრული სიცხადით გადაუშალა თვალწინ ის სიდუხჭირე, სიღარიბე, უუფლებობა, რომელიც მთების ტალახიანებ ადამიანთა ხვედრი იყო ოცეული.

აგიტპუნქტში გარშემო შემოკრებილი ხალხი გამოცდილი აგიტატორივ. მსმენელთა შორის აგიტორიტეტია და სიყვარულით სარგებლობენ აგიტატორები ნ. სიხარულიძე, ა. გოგიური, ს. ცხოვრებოვა, ვ. გულაოოვა და სხვები.

აგიტპუნქტში მოწყობილი გვაქვს საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა. სხვა საინტერესო ლიტერატურასთან ერთად, ამომრჩეველს აქ შეუძლია ისარგებლოს მასალით, რომელიც ნათელ წარმოდგენას იძლევა ჩვენი მშობლიური ქვეყნის უმაგალითო ზრდა-განვითარებაზე.

პასუხსაგები და სასპატიო ამოცანები დგას ჩვენი აგიტპუნქტის წინაშე. იმისათვის, რომ ეს ამოცანები წარმატებით შეგასრულოთ, შემდგომში კიდევ უფრო ნაყოფიერად და სანტერესოდ წარმართავთ შუშაობას.

ნ. მეპარაგოვა

ლენინგორის რაიონის საციურეოს აგიტპუნქტის გამგე

საარჩევნო კანონის პოპულარიზაციას სამიათასზე მეტი აგიტპაპერი ეწევა

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქში სამიათასზე მეტი აგიტატორია ეწევა საგიტაციო შუშაობას.

აბრეშუმკომბინატის საამქროებში სერიოზულად მოეკიდნენ საარჩევნო დებულების პოპულარიზაციის საქმეს. პარტბიუროს მოიწვია აგიტკოლეტივების ხელმძღვანელებისა და აგიტატორთა თათბირი არჩევნებთან დაკავშირებით საგიტაციო შუშაობის ამოცანებზე, ყველა საამქროს წოდელ ტუთებში მოეწყო საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა და დაწესდა აგიტატორთა მორიგობა. აბრეშუმაქსოი, მოსამზადებელი და ფარეხის საამქროებზე ასობით ფეიერი სწავლობს საბჭოთა საარჩევნო კანონს. აგიტატორებმა ბ. ყუნნოვ, ნ. ჯაბუაძ, მ. ხუციაძემ, ე. ბაკუშნკიმ და სხვებმა მიმზდველად ჩაატარეს რამდენიმე საუბარი სსრ კავშირის კონსტიტუციასა და არჩევნების დებულებაზე. მათ აგრეთვე მსმენელებს უამბეს იმ დიდმნიშვნელოვან ცვლილებათა შესახებ, რომლებიც მოხდა უკანასკნელ წლებში ჩვენს რესპუბლიკასა და კერძოდ ქალაქ ქუთაისში.

მანქანათმშენებელ ქარხანაში მომხსენებელთა ჯგუფმა შეიმუშავა სპეციალური სალექციო თემატიკა. ქარხნის აგიტკოლეტივებში მოეწყო მეცადინეობა მომავალ არჩევნებში აგიტატორთა ამოცანების შესახებ.

ქალაქის მოსახლეობაში ასამდე სტუდენტი ეწევა საგიტაციო შუშაობას. როგორც წინა არჩევნებში, აქეადაც ისინი ფართოდ აცნობენ მშრომელებს არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა საყურადღებო საკითხს. პედინსტიტუტის პარტბიუროო და საადკოლეტივო პარტორგანიზაციებმა სისტემატურ კონტროლს უწევენ აგიტატორებს და ეხმარებიან მათ შუშაობის უკეთ წარმართვაში. მარქსიზმ-ლენინიზმის კაბინეტში მოწყობილია საარჩევნო მასალების გამოფენა, აგიტატორებისათვის იკითხება მაღალკვალიფიციური ლექციები და ტარდება სემინარული მეცადინეობა.

პოლიტეკნიკური ცხოვრების ცენტრს წარმოადგენს წულუკიძის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტი, რომელიც მრავალ ლონისძიებას ახორციელებს არჩევნებთან დაკავშირებით.

გორის საწარმოებში და მშენებლობებზე

გორი. (საკ. კორ.). მნიშვნელოვანი საწარმოო მიღწევებით აღნიშნეს გორის საწარმოთა კოლეტივებმა ახალი წელი. საოსურეო ქარხნის კოლეტივმა 1 იანვრისათვის გეგმის დადგენილებით 880 ათასი ძეღი კონსერვი გამოუშვა. მარტო 30 დეკემბერს დღიური საწარმოო გეგმა ბეკოსრეულებმა 128 პროცენტით შეასრულეს.

საამაყო მაჩვენებლებით დამთავრა 1950 წელი სატყე ქარხანამ, რომელმაც გეგმა 24 ოქტომბრისათვის შეასრულა და გეგმის გადამტკიცებით ადრეული პროდუქცია გამოუშვა. 30 დეკემბერს ამ ქარხნის კოლეტივმა დღიური გეგმა 155 პროცენტით გაანაზღაურა.

მაღალნაყოფიერი შუშაობა გააჩაღეს ახალ წელს გორის ახალშენებლობათა კოლეტივებმა. გორის შუზეუმისა და ბამბეულის კომბინატის მშენებელთა კოლეტივები შრომითი თაღდებმის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან.

ახალი მშენებლობანი რუსთავში

რუსთავი. (საკ. კორ.). ახალგაზრდა სოციალისტური ქალაქი დღითი-დღე გასაოცარი სისწრაფით იზრდება და ამშენებენ. ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეს რუსთავის მშრომელები ქალაქის კეთილმოწყობაში მიღწეული ახალი წარმატებებით შეხვდნენ.

12 დეკემბრისათვის დამთავრდა 9.647 კვადრატული მეტრი ფართობის კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. მოსაფლატებელია 28.124 კვადრატული მეტრი გზა, გაკეთდა 2.285 კვადრატული მეტრი ტროტუარი, გაკეთებულია ბორდიური 16.100 მეტრ სიგრძეზე და გაკეთილია 5.510 მეტრი ასფალტიცია.

დამთავრდა პერის საცობი ქარხნის მშენებლობა, რომელიც დღე-ღამის განმავლობაში გამოუშვებს 36 ტონ სხვადასხვა ასორტიმენტის პუშსა და ფუნთუშის ნაწარმს. აგებულია აგრეთვე საკონდიტრო წარმოებისათვის ახალი შენობა, სადაც წლის განმავლობაში გამოუშვებენ 2.050 ათასი მანეთის საკონდიტრო ნაწარმსა და ლიმონათს.

დასმარება მრავალშვილიანთ და მარჯოხელა დედებს

თელავი. (საკ. კორ.). თელავის რაიონში 718 მრავალშვილიანი და მარტოხელა დედაა. მათ ექცევა წლის განმავლობაში სახელმწიფოსაგან 3.585.790 მანეთი დახმარება მიიღეს. 1950 წელ ძრავალშვილიან და მარტოხელა დედებზე გაეცემოდა 551.890 მანეთი დახმარება.

ქეციო ხოდაშნის ჩხუბიანშვილის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა, გმირმა დედამ მარიამ ამეასაძემ, რომელსაც 10 შვილი ჰყავს, სახელმწიფოსაგან 20.000 მანეთი დახმარება მიიღო, სოფელ ლაგამუურში მცხოვრებმა ბაბალე ნაყიურმა — 6.000 მანეთი.

თეთრი წყაროს რაიონის სოფელ კოლის ბაკრაძის სახელობის კოლმეურნეობამ მიმდინარე წლის ვაზაფხულამდე ვენახების სამეხსრის ეზოსასწორებლად გეგმით 4.000 ძირი ვაზი უნდა გადაეწვინა. აქედან უკვე გადაწვენილი 1.800 ძირი. კოლმეურნეები პირობას იძლევიან, რომ ამ სამუშაოს მთელიანად 15 იანვრისათვის დამთავრებენ.

სურათზე: *(მარცხნიდან) მევენახეობის ბრიგადირი ს. ბაბაშელი, მრეგოლური ნ. დემეტრაშვილი და კოლმეურნე ა. ეფიშელი მუშაობენ ვაზის გადაწვენაზე.*

ფოტო რ. აკოფოვისა

შილდელი მევენახეები

მევენახეობისა და მეღვინეობის შემდგომი აღორძინებისა და ხარისხობრივი გაუჯობესების შესახებ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილების შესაბამისად ყველის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებში ახალი ძალით გაჩაღდა მუშაობა. რგაკენენ მხოლოდ ვენახის უძლიერესეს სპარეველ ჯიშებს, ამასთან მოსავლიანობის გასაღიდებლად და ღვინის ძირითადი ტიპების ხარისხობრივი გაუმჯობესებისათვის ს.ერიოზულ ყურადღებას აქცევენ მოწონაეთა გამოცდილების დანერგვას.

ამ მხრივ მეშუმაობის კარგ მაგალითს იძლევა სოფელ შილდის კუტაისელეს სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ვ. ცისკარიშვილი). კოლმეურნეობის 200 ჰექტარ ვენახში ვაშენებენ ძვირფასი სამრეწველო ჯიშები: რქაწოფილი, საფერავი, კაბერნე და სხვ., მაგრამ განსაკუთრებით „ბენშაური", დიდი რაოდენობით გამოყენილია ისეთი სალეწე მასალა, რომელსაც ახასიათებს 14-15-მდე გრადუსი სიმაგრე, დიდი შაქრიანობა და საუკეთესო არომატი (ტუკტი).

შილდელი კოლმეურნეები გამოცდილები დარწმუნდნენ, რომ მაღალხარისხოვანი ღვინის მისაღებად ამ განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებია. ნიადაგი ღრმა და ნოყიერი ქვიშნარია. საკენენე ნაყეფების გვერდზე ჩამოუდის მდინარე ჩელთი. ამიტომ ჰექრი ყოველთვის სუფთაა, ნაყლებად ვრცელდება სოკოს ავადმყოფობა, იშვიათად იცის ქარი.

1950 წელს კოლმეურნეობაში 15 ჰექტარი ახალი ვენახი გაშენდა, 1951-1952 წლებში კი გათვალისწინებულია ერთნიოროდ მეტის დარგვა, უმთავრესად „კაბერნესი". ვენახის საერთო რაოდენობა ამ ნაკეთში 50 ჰექტარს მიაღწევს.

სტახანოველი მევენახე-ბრიგადირის ს. ბეგოვილის, მრეგოლური სოციალისტური შრომის გმირის ი. ტუტაშვილის, კოლმეურნეების ს. სიხარულაშვილის, ვ. ახალბედაშვილის, ფ. გიოშვილის, ს. და ი. სალირიაშვილების კარგი მუშაობის შედეგად კოლმეურნეობის ვინახებში წარმატებთან არის შესრულებული ყველა საშემოდგომო სამუშაო: ხეხა, ძირების შემობარა, მავთულის გაბმა, სასუქების შეტანა.

კტიბიშეველი კოლმეურნეები პირობას იძლევიან, რომ ვენახების ფარეთობს სულ მალე ერთიანობად გადადებენ. აქედან მარტო „ბენშაურის" ვენახებს 5-6 წელიწადში 160 ჰექტარამდე აიყვანენ, ამასთან ყოველწლიურად საამშობლოს მისცემენ 13-15-მდე გრადუსი სიმაგრის საუკეთესო საღვინე მასალს.

სოციალისტური შრომის გმირს მერგოლურ ი. უსტიაშვილს, რომელმაც 1949 წელს 3 ჰექტარის ყოველ ჰექტარზე მიიღო 112,3 ცენტნერი ყურძენი, 1950 წელს კი. მიუხედავად ყინვისა და სეტყვისაგან ვენახის თითქმის 50 პროცენტით დაზიანებისა — 95 ცენტნერი, ნაკისრი აქვს ვალდებულება წელს გადიღოს მოსავლიანობა სულ მცირე 130 ცენტნერამდე.

შილდელები ახალ წელს ახალ წარმატებებს მოიპოვებენ მევენახეობა-მეღვინეობის დარგში.

ტ. თოდრაძე

კანდიდატების წამოყენება საკავშირო საარჩევნო ორგანოების შემადგენლობაში

ლენინის რაიონი

დედაქალაქის ლენინის რაიონის მშრომელებმა დაიწყეს კანდიდატების წამოყენება საკართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში.

სტალინის სახელობის ორთქლმავალგაგონსაარემონტო ქარხნის მუშამოსამსახურეებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრობის კანდიდატებად ეამოაყენეს მოწონაეე ადამიანები, აქტიური საზოგადოებრივი მუშაები, რომლებმაც თავი ისახელეს მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის ბრძოლაში. საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში დასახელებულთა შორის არიან: მოწონავე ქალები ვ. მახარაშვილი და ლ. ლიპარტელიანი, საკარხნო კომიტეტის თავმჯდომარე გ. დაშნელი, ამწყობი საამქროს პარტბიუროს მდივანი ს. ჭირტაბლაეა, ინჟინერი შ. ჯალატაოშვილი და სხვ.

კიროვის სახელობის დაზგაობშენებელი ქარხნის კოლეტივმა საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში დასახელეა: ქარხანაშის თავმჯდომარე ნ. გოგელიძე, სტახანოველები დ. დავიდოვი, ფ. მარტინოვი და სხვ.

26 კომისარის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლეტივისაგან საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში წამოყენებული არიან სტახანოველი ოსტატი შ. ვასაძე, საშუალო საამქროს უფროსი ბ. გრიგორევი, პარტბიუროს მდივანი გ. სტურუა და სხვ.

საუბნო საარჩევნო კომისიებში კანდიდატების წამოყენებისადმი მიძღვნილი კრებები ჩატარდა აგრეთვე საორთოპედიო დეპოში, ავტოსარემონტო ქარხანაში და სხვა საწარმოებსა და დაწესებულებებში.

—o—

მოლოტოვის რაიონი

რაიონის საწარმო-დაწესებულებებში მოეწყო მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა, მოსამსახურეთა კრებები, რომლებიც მიეძღვნა კანდიდატების დასახელებას საკართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში.

ხალბმრავალი კრება გაიმართა პირველ სამკერვალო ფაბრიკაში. ამ ფაბრიკის კოლეტივმა საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში ერთსულოვნად წამოაყენა საგამამეორებლო საამქროს წევრდებელი ლიდა ლაკრენტის ასული თეგზაძე, სტახანოველი მკერავი ტატიანა ნიკოლოზის ასული ბოგდანოვა, ფაბრიკის კადრების განყოფილების უფროსი ალექსანდრა სტეფანეს ასული ბერძენიშვილი და სხვ. სულ საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში დასახელებულია 11 კაცი.

ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლეტივმა საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში დასახელა ქარხნის პარტბიუროს მდივანი ლეე სერგოს-ძე პეტროსიანი, ამწყობი საამქროს წევრმდებელი ლიუდმილა იაკობის ასული შელგინა, ქარხნის კადრების განყოფილების უფროსი ალითია სუმბათის ასული სარაბეკოვა.

საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შრომელთა წარმომადგენლების დასახელებისადმი მიძღვნილი კრებები მაღალი პოლიტიკური აქტივობით მოეწყო ფეხსაცმლის ქუსაქ და სამოდელო ფაბრიკებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტში.

—o—

ბოლშევიკი

შუშის ქარხნის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ერთსულოვნად წამოაყენა ქარხნის დირექტორი გიორგი სილიბისტროს-ძე ბაკრაძე. ამავე ქარხნის შუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში დასახელა ქარხნის კადრების განყოფილების გამგე ნიკოლოზ ევგენის-ძე საგონოვი, სტახანოველი მუშა ილია ალექსის-ძე გოგალაძე.

ბაკურიანის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის კანდიდატად დასახელა ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე დიმიტრი ალექსის-ძე ბუნიშვილი. ამავე სოფლის საშეალო სკოლის პედაგოგიური კოლეტივისაგან საუბნო საარჩევნო კომისიებში წამოაყენებელი არიან მასწავლებელი ელადიერ დავითის-ძე გეგუჩაძე, ვერა სანდროს ასული ინასარიძე და სხვები.

(საკ. კორ.).

ეკონომიკის საკითხებზე

მუშათა კუღეშური-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების მძლავრი საშუალება

ყოველი საწარმოს გამართული, მაღალნაყოფიერი მუშაობის ერთ-ერთი სერიოზული წინაპირობა მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების მაღალი დონე. საფსებით ცხადია, რომ ის მუშა, მოსამსახურე, ან ინჟინერი, რომელსაც სახლში კარგად დაესვენა, რომელსაც ბინაც კეთილმოწყობილი აქვს და ხელ პირობებიც ხელსაყრელი, ადრე ადიდგეს საწარმოში დახარჯული ენერგიის, კარგად მოწყობილ კლუბში სიამოვნებით გატარებული საღამოზე, შრომის ახალი ხალისით აღიჭურვება და ამან არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს საწარმოს ცხოვრების ტემპსა და რიტმზე.

ლენინ-სტალინის პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ შექმნეს ყველა პირობა ინდისთვის, რომ საწარმოთა ხელმძღვანელებმა, თუ ისინი თავიანთი კოლეტივის კარგად ღარაზმეს, შრომის რაციონალურად მოწყობას, ორგანიზებულ მუშობას შეძლებენ, ყოველთვის საკმაო რაოდენობით მიიღონ ის თანხები, რაც საჭიროა ამ საწარმოს კოლეტივისათვის საეკეთესო საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად და შემდგომი კულტურულ-ტექნიკური ზრდის მისაღწევად.

საკრო თანხათა მიღების ერთ-ერთ ასეთ წყაროს წარმოადგენს სადირექტორო ფონდი.

რა არის სადირექტორო ფონდი, როგორ უნდა შეიქმნას და რა დახარჯვლებისთვის უნდა იქნას იგი გამოყენებული?

სადირექტორო ფონდი შეიძლება შეიქმნას ყველა ამ სახელმწიფო საწარმოში, რომელიც გადასული დამოუკიდებელ სამეურნეო ანგარიშზე და გაანსაზღ. ამის მთავარი პირობა, რომ საწარმოს გამოუყონ სადირექტორო ფონდი, არის სახელმწიფო გეგმის შესრულება და გადაჭარბება ეკონომიკურ ყველა მაჩვენებლის მიხედვით. მაშასადამე, თუ საწარმო გამართულად მეურეობს, ასრულებს სასაკონლო პროდუქციის გამოშვების გეგმას (მით უმეტეს, თუ ამ გეგმას გადაჭარბებით ასრულებს), ამასთან ამეორებს პროდუქციის თვითღირებულებას, აუმჯობესებს ხარისხს, იცავს სასარგებლებლო ფაკალებასა და ნომენკლატურას, იძლევა მოგებას, — მას ამ მოგებიდან გადაიერიცხება გარკვეული თანხა სადირექტორო ფონდში.

ალის შემთხვევა, როდესაც საწარმოს არა აქვს დაგეგმილი მოგება, მაგრამ მაინც სადირექტორო ფონდს მაინც იღებს. ეს მაშინ ხდება, როდესაც საწარმო დაგროვების თანხას ადგენს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად მიღებული ეკონომიიდან ამ პირობით, თუ ეკონომია შრომის გაუმჯობესებული ორგანიზაციის შედეგია.

სადირექტორო ფონდის შესაქმნელად აუცილებელია მთელი საწარმოო კოლეტივის მაღალხარისხოვანი მუშაობა, საწარმოს ყველა უბნის გამართული, მაღალნაყოფიერი მოღუაწეობა და ყველა საწარმოო მაჩვენებელთა თანდათანობით მზარდი შესრულება.

სადირექტორო ფონდში პროცენტების გადარიცხვა ხდება გარკვეული წესისამებრ. შედარებით მმიმე და პასუხსაგები დარგების საწარმოებს (სამთამადნო მრეწველობა, ნავთობის მოპოვება, მეტალურგიული საწარმოები, ელექტრო წარმოება და ა. შ.) სადირექტორო ფონდში გადაერიცხევენ 5 პროცენტს გეგმით თანხიდან და 45 პროცენტს ზეგეგმითი მოგების თანხიდან.

მანქანათმშენებლობის საწარმოებს, ელექტროსადგურთა კოლეტივებს, საფეიერო ფაბრიკებს, სატყეო-საამქროო მეურნეობებს გეგმით გათვალისწინებული მოგებიდან 2 ეძლევიან 1 პროცენტს გეგმით გათვალისწინებული მოგებიდან (ან გეგმით გათვალისწინებული ეკონომიიდან) და 15 პროცენტს ზეგეგმითი მოგებიდან ან ეკონომიიდან.

სადირექტორო ფონდს შექმნის წესებში მთავარია ის, რომ მეტი ყურადღება ექცეოა წმინდა მოგების მიღებას, თუ საწარმოს წლის განმავლობაში ამა თუ იმ გარეშეობის გამო გეგმა გაუდიდეს, ფონდში პროცენტების გადარიცხვა ან გადიდებული გეგმის ნიდეგით მიღებული მოგებიდან ხდება. მაგალითად, თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში 1948 წელს საგრძნობლად დიდი თანხის ზეგეგმითი მოგება მიიღეს. წლის განმავლობაში ქარხანას გაუდიდეს გეგმა და ეაიესრული დამატებითი პროდუქციის გამოშვება. ეს დავალება ქარხნის კოლეტივმა შეასრულა, მაგრამ ზეგეგმითი მოგების თანხა ამით შემცირდა, ვინაიდან გეგმის გადიდებასთან ერთად გადიდებულ იქნა გეგმითი მოგებაც. ამის შედეგად, თუ ქარხანას სადირექტორო ფონდში ენიჭებოდა ზეგეგმითი მოგებიდან 5 პროცენტი, ეეგმის გადიდების გამო ფონდში გადასარიცხი თანხა შეუმცირდა.

მოგების მიღება, ზეგეგმითი თანხის დაგროვება ყოველთვის როდი იძლევა სადირექტორო ფონდში პროცენტების გადარიცხვის უფლებას. თბილისის ამრეშუმაქსოვ ფაბრიკაში 1949 წელს 420.000 მანეთი დაგროვება მიიღეს, ამასთან ხამი ქსოვილის გამოშვების გეგმა შეასრულეს 104 პროცენტით, მაგ (სარეალიზაციო) ქსოვილის გამოშვებისა — 100,3 პროცენტით, ხოლო საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა — 102,8 პროცენტით. მაჩვენებელი ცუდი არაა, თითქოს მთ შარშანდელ ეეგმა სადირექტორო ფონდი, მაგრამ ეეგ მიიღეს. რატომ? იმიტომ, რომ ამ ზეგეგმითს დაკრიფვებასთან და სხვა კარგ მაჩვენებლებთან ერთად ფაბრიკა ჩამორჩა სასარეალიზებლო ნაჩენებლების შესრულებაში. მაგალითად, კრეპ-პარაზონების გამოშვების წლიური გეგმა ფაბრიკის კოლეტივმა შეასრულა მხოლოდ 95 პროცენტით, კრეპ-ფორეტუნისა — 75,8 პროცენტით, კრეპონის ქსოვილისა — 93 პროცენტით და ა. შ. ასორტიმენტის მიხედვით ჩამორჩენამ, ე. ი. ნომენკლატურის მიხედვით წლიური გეგმის შესრულებლობამ ფაბრიკის კოლეტივს დაკარგინა სადირექტორო ფონდი. ზოგჯერ ხდება, რომ სწარმო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის შედეგად საგრძნობ მოგებას იძლევა, მაგრამ ამასთან ამავე საწარმოში გაფლანგვას ჰქონდა ადგილი. ასეთ შემთხვევაშიც საწარმოს კოლეტივი კარგავს სადირექტორო ფონდის მიღების უფლებას.

სადირექტორო ფონდი წარმოადგენს მძლავრ ბერკეტს საწარმოს მუშობის შემდგომი ყოველმხრივი გაუჯობესებისათვის, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების, რენტაბელობის მიღწევის, თანდათან მზარდი რიმეოელი მუშაობისათვის. სადირექტორო ფონდის მიღებაში დიდ დაინტერესებას უნდა იჩენდეს ადგილობრივი პროფსაბჭოებიც, ეინაიდან, ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით, სადირექტორო ფონდის დახარჯვაში ის უშუალოდ აქტიურად მონაწილეობს. საწარმოთა პროფორგანიზაციები მოწოდებული არიან დარაზმონ მთელი კოლეტივი მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მიმაპოვნებლად, სათავეში ჩაუდგნენ ნელელეული, დამბრაზე მასალებისა და ყველა სხვა ხარჯების გაწეევაში ეკონომიისათვის ბრძოლაში, აღკვეთონ საწარმოებში უნაყოფო ხარჯების გაწევა და ამავე დროს მონაწილეობა მიიღონ სადირექტორო ფონდის თანხათა მიზანშეწონილად გამოყენებაში.

საწარმოს კოლეტივისათვის სადირექტორო ფონდის მიღების მნიშვნელობის ცხადსაყოფად დავასახელებთ ერთ მაგალითს:

1949 წელს თბილისის სართავ-საბრეიკოვაკო კომბინატი საუკეთესოდ მუშაობდა. წლის განმავლობაში მან სახელმწიფოს 4.500.000 მანეთი მოგება მისცა და ამით მოიპოვა სადირექტორო ფონდის მიღების უფლება. კომბინატის კოლეტივს ყველა მაჩვენებლები კარგი ჰქონდა, მაგრამ ჩამორჩა ერთი ნომენკლატურის მიხედვით. სახელდობრ იმის გამო, რომ ხელფეხელის მომარაგება შეუფერხდათ, ეერ შეძლეს „კაპრონის" ნელსაბის გიგის შესრულება. ამის გამო კომბინატმა სადირექტორო ფონდში გადასარიცხავად მიიღო 270.000 მანეთი, მაშინ, როდესაც, ამ ნომენკლატურის მიხედვითაც გეგმა შესრულებული რომ ჰქონოდა, გაცილებით მეტ თანხას მიიღებდა.

სადირექტორო ფონდის თანხებიდან შარშან კომბინატში შემდეგი სამუშაოები შეასრულეს: მოაწყეს სხდოლათა დარბაზი, სადაც საკრიბოს შემოხვევაზეა შეიძლება კომბინატის მთელი კოლეტივის თავმოყრა; მოაწყეს კომბინატის ეზო, გაამწესეს ხეივნები, ფანრატრები და ყვავილნარები, სადაც მუშები სიამოვნებით ისვენებენ; გამართეს ექვსი ფიზკულტურული მოედანი (ფრენბურთის, ფეხბურთის, კალათბურთის მოედნები და სხვ.), მოაწყეს მუშათა ღამის სანატორიუმი, შეიძინეს ამ სანატორიუმისათვის ძვირფასი ინვენტარი, თეთრეული და ბიბლიოთეკა; კომბინატის 150-მდე მოწონავე მუშას მისცეს ეთრდროული ფულადი დახმარება, შეიძინეს საგზურები ავადმყოფი მუშების გასაგზავნად სხვადასხვა კურორტებზე, შეუკეთეს ბინები ყველი ამ მუშას, რომელთაც ეს ესაჭიროებოდათ.

1950 წელს სართავ-საბრეიკოტაკო კომბინატის კოლეტივმა ბევრად გაადაურესა მუშაობა. ეს მოხდა იმიტომ, რომ კომბინატის კოლეტივი სრული ბზაფოფოსთან ეერ შეეგდო საამეურნეო წლის დაწყებას, ეერ მოაზრეხეს მშენებლობისა და მანქანა-დანადგართა დროულად გამართვა, გადდებული საწარმოო დაკალება მთლიანად ეერ შესარულეს. აბრიგად, კომბინატმა სადირექტორო ფონდის მიღების უფლება დაკარგა.

დაიწყო ახალი სამეურნეო წელი. საწარმოთა ხელმძღვანელებმა, პარტიული და პროფორგანიზაციების ამოცანაა დარაზმან კოლეტივები მიმდინარე წლის გადიდებულ საწარმოო ამოცანის შესასრულებლად. საჭიროა აქედანვე გაჩაღდეს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა ბრძოლა წელს სადირექტორო ფონდის მიღების უფლების მოსაპოვებლად.

საწარმოს კოლეტივის თვითეული წევრი უნდა განიმსჭვალოს სადირექტორო ფონდის მიღებისათვის ბრძოლის სულისკვეთებით. ეს იმის ნიშნავს, რომ კოლეტივის თვითეული წევრი აქტიურად ჩაუბაბთ საწარმოს მუშობის ყოველმხრივი გაჯანსაღებისთვის ბრძოლაში.

დ. ამირანაშვილი

სოხუმის თეატრის სპექტაკლები

განახლებულ, ბაღნარად ქცეულ კოპწია ქალაქ სოხუმს თავისი სადარო თეატრი აქვს. ახალგაზრდა ნიჭიერი ენთუზიასტებისაგან შემდგარი ქართული დრამატული დასი ღირსეულად ასრულებს იმ დიდ მისიას, რაც ეკისრება საბჭოთა თეატრს — იყოს ჩვენი დიადი ეპოქის ამსახველი, კომუნისტური სულისკვეთებით მასების აღმზრდელი.

უკანასკნელად თეატრმა სამი ახალი სპექტაკლი დადგა. სამივე სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო. მაყურებელს მოსწონს ის, რასაც სცენაზე ასახავენ, თანაუგრძნობს იმ გმირებს, რომლებიც მის სულისკვეთებას გამოხატავენ. თქმა იმისა, რომ სამივე პიესა ერთი ღირებულებისა და უნაკლოა, არ შეიძლება; მაგრამ ყველა მათგანი რომ თემატიკურად მისაღებია, ეს უდავოა. ამ სამი პიესიდან უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ილო მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი“. ამ მეტად გონივრულმა, მძაფრ დრამატულ კონფლიქტზე აგებულმა პიესამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა ჩვენს საზოგადოებრიობაში და ღირსეულადაც დაიმსახურა მაყურებლის დიდი მოწონება. პიესა გვიზიდავს თავისი აქტუალობით, მიზანდასახულობით, პუბლიცისტური სიმძაფრით და მხატვრული სახეებით. სოხუმის თეატრში სპექტაკლის დამდგმელი, რეჟისორი გ. ვასაძე გარეგნულ ეფექტებს არ გამოსდგომია და მართებულად მთავარი ყურადღება პიესის იდეური შინაარსის გახსნისათვის მიუქცევია; ეს მიღწეულია გამართლებული მიზანსცენებით და გმირთა სახეების სწორად წარმოსახვით. რეჟისორის ხელი ატყვია მტკიცედ შეკრულ ანსამბლს. უბრალოდ, მაგრამ გემოვნებით გაუფორმებია სპექტაკლი მხატვარ ალექსანდრე ვერულეიშვილს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მე-5 სურათი. სოხუმის თეატრის პატარა სცენაზე მხატვარმა სინათლის კარგად გამოყენებით ბუნების სტიქიასთან მწყემსების ბრძოლის ნამდვილი ილუზია შექმნა. ქართულ ჰანგებზე აგებული მელოდიური მუსიკით კომპოზიტორი ხაფავა ხელს უწყობს სპექტაკლის წარმატებას.

მოწოდების სიმაღლეზე დგას მსახიობთა მთელი კოლექტივი; პირველ რიგში უნდა აღინიშნოს გიორგი გიგაურის როლის შემსრულებელი მსახიობი ა. მაგრაქველიძე. იგი უბრალო, დამაჯერებელი და ბუნებრივია. მაყურებელს სჯერა, რომ გიგაური სწორედ ასეთი უნდა იყოს, შეუძლებელია ასეთმა ადამიანმა მიზანს არ მიაღწიოს, არ გაიმარჯვოს. გიგაურის როლი მსახიობ ა. მაგრაქველიძის შემოქმედებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა.

ასევე ბუნებრივად წარმოგვისახავს პროფესორ ზანდუკელის როლს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი მ. ჩუბინიძე. განსაკუთრებით კარგია მსახიობი თავის მეუღლე დარეჯანთან საუბრისას და უკანასკნელ სცენაში შეცდომების აღიარებისას.

სცენიური მომხიბვლელობით უხვად დაჯილდოებული უდავოდ ნიჭიერი მსახიობი ს. ყანჩელი მაყურებლის ერთსულოვან მოწონებას იმსახურებს ზანდუკელის ქალიშვილის კომკავშირელ ეთერის როლის შესრულებით.

უაღრესად რთულია კომიკური პერსონაჟის განსახიერება. ბევრი მსახიობი ასეთი როლის განსახიერებისას კარგავს ზომიერებას. ნიკიფორე უკლებას როლის შემსრულებლის მსახიობ ტ. ხორავას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას ეს ზომიერების გრძნობა არ ღალატობს და ისე უბრალოდ, ბუნებრივად ასახიერებს ამ როლს, რომ მთელი დარბაზის ყურადღების ცენტრშია.

მეტად გულწრფელად ასრულებს მეურნეობის მწყემსის იასე უსტიაშვილის როლს მსახიობი ნ. მიქაშავიძე. ის ნაკლებად გაჰყოლია ძველათვე დაკანონებულ ერთგვარ შტამპს, როცა ამა თუ იმ კუთხის მცხოვრებთა როლების განსახიერებისას მსახიობები ზედმეტად ხაზს უსვამენ, აყალბებენ ამ კუთხის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებას. თუ მსახიობი მთლიანად დააღწევს ამას თავს, როლი გაცილებით მოიგებს და უფრო დამაჯერებელი იქნება. ასევე უნდა ითქვას მწყემსგიას როლის შემსრულებელ მსახიობ ნ. ყიფიანზე, რომელმაც მეტად მიმზიდველი და კოლორიტული სახე შექმნა. ბუნებრივ თამაშს თუ დაერთვის სიტყვებზე მახვილის სწორად დასმა, მის მიერ განსახიერებული გია უფრო მოსაწონი იქნება. საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის სამსონ ნებიერიძის — ამ ცრუმეცნიერის სახე ორიგინალურად აქვს მოფიქრებული მსახიობ ვ. ნინიძეს. ბევრჯერ როლს პატარა დეტალი დამახასიათებელ თვისებებს ანიჭებს, მსახიობის მიერ ხშირად მექანიკურად სათვალეზე ხელის წავლება გვაჩვენებს, რომ მხედველობით ბეცი ნებიერიძე ცხოვრებაშიც ბეცი და უვიცია. მაგრამ გარეგნული ხერხები ჰარმონიულად შესისხლხორცებული უნდა იყოს გმირის ბუნებასთან. ამ მხრივ მსახიობს კიდევ დასჭირდება როლზე მუშაობა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის ვარლამ ჰელიძის როლს დამაჯერებლად წარმოგვისახავს მსახიობი ვ. ჯანგობეგაშვილი. კარგია ინსტიტუტის პარტბიუროს მდივნის როლში მსახიობი ს. კალანდაძე. ანსამბლს ხელს უწყობენ საქართველოს სსრ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ს. გამრეკელი (სანდრო ვაშაძე), აკ. ბოკუჩავა (სიმონ მენაბდე), ვ. ნეფარიძე (ნინო უსტიაშვილი), თ. ოქროპირიძე (ნატო), ა. სანაძე (დარეჯან). სულ ორი ფრაზა აქვს სათქმელი ვ. ბერუაშვილს (ციალა) და მიუხედავად ამისა მსახიობმა შეძლო ფუქსავატი, პრანჭია ქალის დასამახსოვრებელი სახე მოეცა.

საყურადღებოა თეატრის მიერ სეზონის დასაწყისში განხორციელებული კ. ბუაჩიძის კომედია „ფაქიზი გრძნობები“. დრამატულ ნაწარმოებებში კომედია ერთ-ერთი ურთულესი ჟანრია. კომედიის ავტორს მართებს დიდი უნარი—კომიკური სიტუაციები ისე გვიჩვენოს, რომ იგი დამაჯერებელი იყოს, ზომიერებას არ ღალატობდეს და ამავე დროს მიზნად არ ჰქონდეს სიცილის გამოწვევა მხოლოდ სიცილისათვის. ეს სიცილი ჯანსაღი, მიზანდასახული უნდა იყოს. ნაკლოვანებათა მხილება, აქა-იქ დარჩენილ ძველ ჩვევათა ნაშთების აღმოფხვრა—აი კომედიის მიზანი. კ. ბუაჩიძის კომედია თემატურად მისაღებია და ამიტომაც თეატრს არჩევანს ვერ დავუწუნებთ.

კომედია თანამედროვე საკოლმეურნეო სოფლის ფონზე იშლება. დამაჯერებლად არის ასახული ჩვენი სოციალისტური სოფლის თანამედროვე ადამიანთა ფაქიზი გრძნობები, მათი ამაღლებული კულტურული დონე, მათი ბრძოლა ქვეყნის კეთილდღეობისათვის. ამ დადებით ტიპებს უპირისპირდებიან უქნარა, კოლმეურნეობის გარეთ დარჩენილი ადამიანი, ფუქსავატი, ვნებათა ღელვის ამყოლი, გადაგვარებული ქალი პეპელა, მისი ვაჟი შალვა — შარლად წოდებული და სხვები. დადებითი და უარყოფითი პირების დაპირისპირებისას ავტორმა თუ შეძლო დამაჯერებლად მოეცა პირველნი, ასევე არ ითქმის უკანასკნელებზე. მიუხედავად ამ ნაკლისა, ავტორმა შეძლო მაყურებლის დაინტერესება ზომიერი იუმორით, ენობრივად გამართული კარგი დიალოგებით და დამაჯერებელი სიტუაციების შექმნით.

კომედიის წარმატებაში მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვით პიესის დამდგმელს, მხატვარს და მსახიობთა მთელ კოლექტივს. პიესის დამდგმელის რეჟისორ ა. გამსახურდიას ხელი ატყვია მთელ სპექტაკლს. უდავოდ მოსაწონია მხატვარ ნ. ყაზბეგის გაფორმება, თუმცა არ შეგვიძლია მხატვრის საყურადღებოდ არ აღვნიშნოთ ცის ფონზე მეტისმეტად უფერულად გაკეთებული მთვარე. რეალისტური დადგმა სცენაზე არ გამოთიშავს პირობითობას; და თუ ტექნიკურად შეუძლებელი იყო მთვარის ილუზიის შექმნა, უმჯობესი იქნებოდა იგი სულაც არ გამოეკიდათ, რითაც სპექტაკლი უდავოდ მოიგებდა.

მსახიობებიდან უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ილიკო ხაშიბაიას როლის შემსრულებელი საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ბ. ზაქარიაძე. კარგი მეტყველება, სცენიური მომხიბვლელობა, ბუნებრივობა — ყველა ამ მონაცემით საკმაოდ არის დაჯილდოებული მსახიობი და ამიტომაც ტრაქტორისტის მეტად დამაჯერებელი და მიმზიდველი სახე დაგვიხატა.

ერთფეროვანი, მონოტონური მეტყველება ხელს უშლის მსახიობ ზ. ლაფერაძეს კარგად გააზრებულ იოველ ტაბატაძის როლში სათანადო შთაბეჭდილება მოახდინოს.

კარგია კლუბის გამგის გრამიტონ ღვინეფაძის როლში საქართველოს სსრ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლ. ჭედია, ხოლო ხატულას როლში — მსახიობი ა. ჯანიაშვილი.

ხანში შესულ, ფუქსავატ და გადაგვარებული ქალის პეპელას კოლორიტული სახე შექმნა მსახიობმა ე. აბაზაძემ.

თავის უშუალობით და ბუნებრივობით პირდაპირ გხიბლავს შარლის როლში ახალგაზრდა მსახიობი მ. ქიქვიძე. დრამატურგს შარლის როლის ტექსტუალური მასალა და სიტუაციები ცოტა გადაჭარბებულად აქვს მოცემული და ახალგაზრდა მსახიობის უნარს უნდა მიეწეროს, რომ იგი ამ ცდუნების გზას არ გაჰყვა და როლს ბუნებრივობა არ დაუკარგა.

ავტორს ასევე გროტესკულად აქვს მოცემული ერასტის ტიპი. სიუჟეტის განვითარებასთან ერასტს ორგანული კავშირი არა აქვს, ამ პერსონაჟის გამოყვანას წმინდა დივერტისმენტული ხასიათი აქვს და მსახიობი გრ. ფოჩხუა ავტორის მიერ დაკისრებულ მისიას კეთილსინდისიერად ახორციელებს.

კარგად ასრულებს აგრონომ მერი პურადაშვილის როლს მსახიობი მ. ერისთავი.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის სახე დრამატურგს სქემატურად აქვს მოხაზული, და მსახიობმა ნ. მასხულიამაც ვერ შეძლო შეევსო პერსონაჟის ეს ნაკლი, რაც ნაწილობრივ არამკაფიო დიქციით აიხსნება.

დრამატურგის მიერ არარეალურად მოცემული ფოტოკორესპონდენტის სახე ასეთივე დარჩა მსახიობ ი. წერეთლის განსახიერებით.

დღეს მთელი პროგრესული კაცობრიობა თვალყურს ადევნებს თავისუფლებისმოყვარე კორეელი ხალხის გმირულ ბრძოლას ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ. ამიტომ ქების ღირსია სოხუმის სახელმწიფო თეატრი, რომელმაც საქართველოში პირველმა განახორციელა კორეელი დრამატურგის ტხაი დიან-ჩუნის პიესა „38-ე პარალელის სამხრეთით“.

რევოლუციური პათოსით და პუბლიცისტური სიმძაფრით გამსჭვალული პიესა ეხება იმ მომენტს, როცა სამხრეთ კორეაში დაპარპაშობენ ამერიკელი იმპერიალისტები და ლისინმანელ პოლიციელთა დახმარებით თავიანთ ბნელ საქმეებს აკეთებენ, ემზადებიან აგრესიისათვის. შიმშილ-წყურვილისაგან ქანცგამოლეულნი, მონობის უღელქვეშ მკვნესარე კორეელი მტვირთავნი გაფიცვას იწყებენ. ჩრდილოეთ კორეიდან მოსული ამბები გაფიცულთ ბრძოლის ენერგიას მატებს. ლისინმანელების პოლიციის და ამერიკელ სამხედრო ადმინისტრაციის ცდა ჩაახშონ გაფიცვა, იწვევს შეიარაღებულ აჯანყებას და მუშები პარტიზანთა დახმარებით იმარჯვებენ. მშრომელთა პარტიის დავალებით ამერიკელებთან მომუშავე კორეელ ექიმ ტიან მე ხინის ქალიშვილი ინ სენი მოვალეობის შესრულებისას თავის პოსტზე დაეცა. პოლიციის სამმართველოს მრჩევლის ჰარი სპელმანის ტყვიამ გული გაუგმირა კორეელ პატრიოტს. გმირის გაციებულ გვამს სალუტს აძლევენ გამარჯვებული კორეელი მუშები და პარტიზანები. მკალავი პაკ ტარა კორეის სახალხო-დემოკრატიული პარტიის დროშას დახრის. გაისმის კიმ ინ ჩენის (მშრომელთა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენლის) ხმა — კორეა იქნება დამოუკიდებელი, კორეა თავისუფალი იქნება, და მთელი დარბაზი მქუხარე ტაშით ეხმაურება ამ სიტყვებს. დარბაზის ეს ერთსულოვანი აღფრთოვანება მიმართულია კორეელი ხალხისადმი, მიმართულია თეატრის მთელი კოლექტივისადმი, რომელმაც ამაღელვებელი სპექტაკლი შექმნა. სპექტაკლის ავტორებმა—დამდგმელმა რეჟისორმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ლეო ჭედიამ და მხატვარმა ალექსანდრე ვერულეიშვილმა საინტერესო სპექტაკლი შექმნეს. ყურადღებას იქცევს გამართლებული და მოხდენილი მიზანსცენები. განსაკუთრებით პიესის დასაწყისში ნავსადგურზე. მწყობრად განლაგებული მუშების ჯგუფის გაფიცვისათვის სამზადისისას შთაბეჭდილებას აძლიერებს სინათლის კარგად გამოყენება. ასევე მოსაწონია თავისი უბრ ლობით ფინალური სცენა.

აქტიორთა მთელი კოლექტივი სათანადო სიმაღლეზე დგას. დასამახსოვრებელი სახეები შექმნეს საქართველოს სსრ დამსახურებულმა მსახიობმა ბ. ზაქარიაძემ (პაკ ტარი), მსახიობმა ა. ბოკუჩავამ (ჩან ხაი), რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ლეო ჭედიამ (კიმ ინ ჩენი). იშვიათი სიმართლით განასახიერა გაძვალტყავებული უმუშევარის მოხუცი მტვირთავის როლი რესპუბლიკის სს დამსახურებულმა არტისტმა მ. ჯაგნიძემ.

მაღალი აქტიორული კულტურით ასახიერებს ინ სენის როლს მსახიობი ს. ყანჩელი.

კარგად განასახიერებს სან მანის (პოლიციის უფროსის) როლს მსახიობი ვ. ჯანგობაშვილი.

ვერ დავეთანხმებით მსახიობ ა. მაგრაქველიძეს პროვინციის მთავარი მრჩევლის ჯანსონის განსახიერებაში. ზეაწეული ტონი, გადაჭარბებული თეატრალობა და გარეგნული ხერხები. პერსონაჟს დამაჯერებლობას უკარგავს.

ამ სპექტაკლის უეჭველი გვირგვინია ექიმ ტიან მენ ხის როლის შემსრულებელი მსახიობი ი. ჯაში. უბრალოთ, ზომიერი განცდით გადმოგვცემს მსახიობი იმ ცეცხლს, რომელიც დანთებულია ყველა პატრიოტ კორეელის გულში. მთელი თავისი შინაარსიანი და ნაყოფიერი ცხოვრება ექიმმა ხალხის მკურნალობას შესწირა. დიდი გარდატეხა იყო საჭირო, რათა შეეგრძნო მოხუცს, რომ ბედნიერებაა იბრძოდე მტრების წინააღმდეგ. როლის ყოველი ნიუანსი, ყოველი დეტალი აქტიორული ოსტატობით არის გამოკვეთილი და აღფრთოვანებას იწვევს.

სოხუმის თეატრის სამივე სპექტაკლი მოწმობს, რომ თეატრის მიერ არჩეული გზა სწორია. საჭიროა თეატრმა კვლავ განაგრძოს მუშაობა სცენაზე თანამედროვეობის ამსახველი პიესების განსახიერებისათვის.

ა. ბურთიკაშვილი

ვილჰელმ პიკის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა ბერლინში

ბერლინი, 3 იანვარი. (საკდესი). დღეს ბერლინში მოეწყო გერმანიის მშრომელთა ბელადის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვილჰელმ პიკის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. გერმანიის დედაქალაქის სადღესასწაულოდ მორთულ უდიდეს სასპორტო დარბაზში შეიკრიბნენ გერმანელი ხალხის მრავალი წარმომადგენელი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრები, დეპუტატები, ბერლინის საწარმოთა მუშები და მოსამსახურეები, ხელოვნების, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, წარმოების აქტივისტები, მშრომელი გლეხობის წარმომადგენლები, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის წევრები, სხვა პოლიტიკური პარტიებისა და მასობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ პრეზიდენტ პიკს, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრების, მეგობრული ქვეყნების მთავრობების დელეგაციათა წევრებისა და ძმური პარტიების დელეგაციათა წევრების გამოჩენას პრეზიდიუმში.

სხდომა გახსნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტევოლმა.

მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციით მიესალმნენ მიტინგის მონაწილენი საბჭოთა მთავრობის დელეგაციას, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთისა და ალბანეთის დელეგაციებს, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ავსტრიის, საბერძნეთის, ესპანეთისა და დანიის კომუნისტური პარტიების დელეგაციებს.

გროტევოლის შესავალი სიტყვის შემდეგ სიტყვა მიეცა პრემიერ-მინისტრის მოადგილეს და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის გენერალურ მდივანს ულბრიხტს.

ულბრიხტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვილჰელმ პიკის დაბადების 75 წლისთავის დღესასწაული სახალხო დღესასწაულად გადაიქცა. გერმანიის ისტორიაში ხალხს ჯერ კიდევ არასოდეს ასე არ უცია პატივი პრეზიდენტისათვის, არ გამოუცხადებია ასეთი უსაზღვრო ნდობა და სიყვარული. გააცნო რა დამსწრეთ ვილჰელმ პიკის დიდი დამსახურება, როგორც გერმანიის მუშათა კლასის ბელადის, როგორც ორი მუშათა პარტიის — სოციალ-დემოკრატიული და კომუნისტური პარტიების — გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიად გაერთიანების ორგანიზატორისა, ულბრიხტმა აღნიშნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დიდი წარმატებანი მშვიდობიანი მშენებლობის დარგში.

თავისი სიტყვა ულბრიხტმა მთელი დარბაზის მისასალმებელ შეძახილებსა და ტაშის გრიალში დაამთავრა იმით, რომ დღეგრძელობა უსურვა გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას, ვილჰელმ პიკს, გე[illegible]

[illegible]

თქვენი სიცოცხლის ხანევარ საუკუნეზე მეტი თქვენ მოახმარეთ მშრომელთა საქმისათვის ბრძოლას. გერმანელი ხალხის ცხოვრების უაღრესად მძიმე ხანებში, გერმანიის კომუნისტური პარტიის გამოჩენილ ბელადთან ერნსტ ტელმანთან ერთად, თქვენ სათავეში უდექით გერმა-[illegible]

[illegible] პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტევოლმა გამოაცხადა გადაწყვეტილება—მიენიჭოს შრომის გმირის წოდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ვილჰელმ პიკს. დასასრულ საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ვილჰელმ პიკმა.

მისალმებანი ვილჰელმ პიკისადმი

ბერლინი, 3 იანვარი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო ბონიდან გადმოგვცემს, გერმანიის კომუნისტური პარტიის ბონის „ფედერალური პარლამენტის“ ფრაქციამ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ვილჰელმ პიკს მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა მისი 75 წლისთავის გამო.

მისასალმებელი დეპეშები პრეზიდენტ ვილჰელმ პიკს გაუგზავნეს აგრეთვე გერმანიის კომუნისტური პარტიის ბავარიის მხარის გამგეობამ, გერმანიის კომუნისტური პარტიის ჰამბურგის გამგეობამ, თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის ჰამბურგის გამგეობამ, მშვიდობისათვის მებრძოლთა ჰამბურგის კომიტეტმა, გერმანიის ქალთა დემოკრატიული კავშირის ჰამბურგის ორგანიზაციამ.

მისალმება ვილჰელმ პიკს გაუგზავნა ფიურტის (ამერიკული ზონა) საპყრობილეში მყოფმა 13 ახალგაზრდა პატრიოტმა, რომლებსაც ხანგრძლივი პატიმრობა მიესაჯათ მშვიდობის დასაცავად აქტიური გამოსვლისათვის.

ბოლესლავ ბერუტის საახალწლო წერილი

ვარშავა, 2 იანვარი. (საკდესი). დღეს პოლონურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბოლესლავ ბერუტის წერილი, რომლითაც მან პოლონელ ხალხს მიმართა ახალწლის წინადღეს.

ბერუტმა აღნიშნა, რომ 1950 წელს პოლონეთის მშრომელებმა მოიპოვეს დიდი წარმატებანი სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობაში — ექვსწლიანი გეგმის პირველი წლის გეგმა შეს-[illegible]

[illegible] ნის ამაღლებასაც. ეს შეიძლება მიღწეულ იქნას აგრეთვე ვალუტის მყარდებლობითი უნარის სისტემატური ზრდით.

ილაპარაკა რა პოლონეთის სოფლის მეურნეობის მიღწევებზე, რომელიც უდიდეს დახმარებას იღებს სახელმწიფოს მხრივ, ბერუტმა აღნიშნა საწარმოო კოოპერაციის, ელექტროფიკაციის ფართო განვითარება, სატრაქტორო პარკის ზრდა, პოლონეთის მიწათმოქმედებას ტექ-[illegible]

[illegible] გამჩაღებლებისათვის არაფერი არ უსწავლებია კორეაში, ჩინეთსა და ვიეტნამში განცდილ მათს დამარცხებას. და აქ საკვირველი არაფერია. თვით ისინი კი არ გრძნობენ ამ დამარცხებათა შედეგებს, არამედ მათი ხალხები. კაპიტალისტები კი სარგებელს იღებენ ამ დანაშაულობიდან.

ამიტომ მსოფლიოს ყველა ხალხმა უნდა გააძლიეროს თავისი სიფხიზლე. ის ქვეყნები, სადაც ხელისუფლება მშრომელი ხალხის ხელ-[illegible]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის 3 იანვრის სხდომა

ნიუ-იორკი, 3 იანვარი. (საკდესი). დღეს გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის სხდომა. დღის წესრიგში იყო სამი საკითხი: ეგრეთწოდებული „სამთა კომისიის" მოხსენება კორეაში საომარი მოქმედების საკითხზე, შემდეგ საბჭოთა კავშირის საჩივარი ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ჩინეთის წინააღმდეგ ჩადენილი აგრესიის შესახებ და, ბოლოს, ტაივანის საკითხი.

ინდოეთის წარმომადგენელმა რაუმ წარადგინა ის, რასაც მან უწოდა „წმინდა ფაქტიური მოხსენება" „კორეაში ცეცხლის შეწყვეტის საკითხზე „სამთა კომისიის" მუშაობის შესახებ.

ჩამოაყალიბა რა „ცეცხლის შეწყვეტის" პირობების შესახებ „სამთა კომისიის" მიერ შემუშავებული წინადადებანი,—ერთი ამ წინადადებათაგანი ითვალისწინებს შექმნას ეგრეთწოდებული 20 მილი სიღრმის დემილიტარიზებული ზონა 38-ე პარალელის ჩრდილოეთით, — რაუმ დასასრულ განაცხადა, რომ „სამთა კომისიას" ამჟამად არ ძალუძს გააკეთოს რაიმე რეკომენდაცია.

რაუს მოხსენებაში მოყვანილია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის პასუხი „სამთა კომისიის" მიმართვაზე — დავალებინა უ სიუ-ციუანისათვის ეწარმოებინა მოლაპარაკება „სამთა კომისიასთან". პასუხში აღნიშნულია, რომ:

„ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელს მონაწილეობა არ მიუღია ეგრეთწოდებული „კორეაში ცეცხლის შეწყვეტის საკითხზე „სამთა კომისიის" შექმნის განხილვაში და არ დათანხმებია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ ამის შესახებ რეზოლუციის მიღებას. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ სახალხო მთავრობას არაერთხელ განუცხადებია, რომ ცენტრალური სახალხო მთავრობა უკანონოდ და ძალის უქონლად მიიჩნევს ყველა რეზოლუციას ძირითად საკითხებზე, და განსაკუთრებით აზიის საკითხებზე, რომლებიც შეიძლება მიიღოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სათანადოდ დანიშნული დელეგატების მიერ მონაწილეობის მიუღებლად და მოუწონებლად. ამიტომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ სახალხო მთავრობას არ შეუძლია ინსტრუქცია მისცეს თავის წარმომადგენელს გენერალ უ სიუ-ციუანს დარჩეს ლეიკ-საქსესში ხსენებულ უკანონო „სამთა კომისიასთან" მოსალაპარაკებლად. მას შემდეგ, რაც უშიშროების საბჭომ სრულიად უსაფუძვლოდ უარყო საჩივარი ტაივანის წინააღმდეგ შეერთებული შტატების შეიარაღებული აგრესიის შესახებ, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ აღძრა, გენერალმა უ სიუ-ციუანმა ცენტრალური სახალხო მთავრობისაგან მიიღო ინსტრუქცია დარჩეს ლეიკ-საქსესში, რათა მონაწილეობა მიიღოს ჩინეთის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის შესახებ იმ საჩივრის განხილვაში, რომელიც სსრ კავშირის წარმომადგენელმა შეიტანა; თუმცა მან საკმაოდ დიდხანს აცადა, მაგრამ ვერ მიიღო შესაძლებლობა აზრი გამოეთქვა მანამდე, სანამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესია არ დამთავრდა. ასეთ გარემოებებში ცენტრალურ სახალხო მთავრობას მიაჩნია, რომ საჭირო აღარ არის, რომ გენერალი უ სიუ-ციუანი და მისი თანამშრომლები დარჩნენ ლეიკ-საქსესში, და ამიტომ წინადადება მისცა მას გამოემგზავროს სამშობლოში 19 დეკემბერს. რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციას დაუკავშირდეს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას, ცენტრალურ სახალხო მთავრობას მიაჩნია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უშუალოდ უნდა მიმართოს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას".

რაუმ დაიმოწმა აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის 22 დეკემბრის განცხადება „სამთა კომისიის" საკითხზე.

რაუს შემდეგ გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ი. ა. მალიკი, რომელმაც კომიტეტს მოაგონა, რომ საბჭოთა კავშირი წინააღმდეგი იყო „სამთა კომისიის" შექმნისა, მალიკმა აღნიშნა: სრულიად ცხადია, რომ ინგლის-ამერიკის ბლოკი, ცდილობს რა ცეცხლის შეწყვეტას, აპირებს თავს მოახვიოს გენერალურ ასამბლეას ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც შესაძლებლობას მისცემენ ამ ბლოკს მომავალში განაგრძონ შეიარაღებული აგრესია კორეაში. ოფიციალური განცხადებანი და პრესის ცნობები ცხადყოფენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არა სურთ საკითხის მშვიდობიანი გადაჭრა და ყოველგვარ აკეთებენ, რაც კი ძალუძთ, იმისათვის, რომ განაგრძონ ავანტიურა კორეაში. ამას ამტკიცებენ ამერიკის შეერთებული შტატების უკანასკნელი ამბები, როგორიცაა საგანგებო წესების გამოცხადება, ეკონომიური მობილიზაცია, ომის ისტერიის გაძლიერება, შეიარაღების დაჩქარება და ტრუმენისა და აჩესონის აგრესიული სიტყვები.

შემდეგ მალიკმა მოიყვანა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისადმი ამერიკის შეერთებული შტატების მტრული დამოკიდებულების მრავალი დამამტკიცებელი საბუთი, მათ შორის მისი ტერიტორიის დაბომბვა, ტაივანის ხელში ჩაგდება და გაერთიანებულ ერებში ჩინეთის დაშვებისადმი წინააღმდეგობა.

შემდეგ მალიკმა განაცხადა, რომ ჯოუ ენ-ლაიმ 22 დეკემბრის განცხადებაში „სამთა კომისიის" შექმნის შესახებ, რა განცხადებაც მომხსენებელს არ გამოუქვეყნებია, ნათლად აღნიშნა საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის ძირითადი პირობა. მალიკმა აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაციამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პოზიციისათვის მხარდასაჭერად წარადგინა რეზოლუციის პროექტი, რომელიც მოუწოდებს დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნან კორეიდან უცხოეთის მთელი ჯარები და კორეელ ხალხს შესაძლებლობა მიეცეს თვითონ გადაწყვიტოს თავისი მომავალი ბედი. მალიკმა მოუწოდა დაუყოვნებლივ მიიღონ რეზოლუციის საბჭოთა პროექტი და განაცხადა, რომ მხოლოდ ასეთი ნაბიჯი მისცემს შესაძლებლობას გენერალურ ასამბლეას გამონახოს საკითხის კონსტრუქციული გადაწყვეტის გზა.

შემდეგ მალიკმა მოაგონა კომიტეტს, რომ წინა სხდომას შემდეგ გამოჩნდა იმ მხეცობის დამატებითი დამამტკიცებელი საბუთები, რაც ამერიკელთა და სამხრეთკორეელთა ჯარებმა ჩაიდინეს. მალიკმა გაიხსენა კორეის ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის მიერ 27 დეკემბერს გამოქვეყნებული მესამე მოხსენება, რომელშიც ნათქვამია, რომ მარტო ფხენიანში დახვრეტილ იქნა 15 ათასი კორეელი პატრიოტი. მოიყვანა რა კორეის მოსახლეობის, აგრეთვე საზოგადოებრივი შენობების ულმობლად მოსპობის შემდგომი დაწვრილებითი ცნობები, მალიკმა თქვა, რომ ამერიკელთა და ლისინმანელთა ჯარების მხეცურმა აქტებმა აღშფოთება გამოიწვიეს მთელ მსოფლიოში.

მალიკმა აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაციას აქვს მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტალური ფილმი კორეაში ამერიკელთა სისასტიკის შესახებ, და პოლიტიკურ კომიტეტს ოფიციალურად მისცა წინადადება ნახოს ეს ფილმი.

პერუს წარმომადგენელმა ბელაუნდემ მოითხოვა, რომ ჯოუ ენ-ლაის 22 დეკემბრის განცხადება, რომელიც გამოქვეყნებულია „სამთა კომისიის" მოხსენების დამატების სახით, წაკითხულ იქნას, რამდენადაც მალიკმა გადაჭრით მოითხოვა, რომ პოლიტიკურმა კომიტეტმა უგულებელყო ეს განცხადება. კომიტეტის თავმჯდომარე დაეთანხმა ამას და წაკითხულ იქნა ჯოუ ენ-ლაის განცხადება.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ოსტინი მწვავედ დაესხა თავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას და კვლავ უსაბუთოდ დასდო მას ბრალად „აგრესია" კორეაში. ოსტინმა წინადადება შეიტანა მოეწყოთ მოკლე შესვენება „საომარი მდგომარეობის მკვეთრად შეცვლის გამო" იმისათვის, რომ შესაძლებლობა მიეცეთ დელეგატებს კონსულტაცია გამართონ ერთმანეთთან და თავიანთ მთავრობებთან შემდგომი ნაბიჯების შესახებ.

ინგლისის წარმომადგენელი ჯები ცდილობდა კომიტეტის ყურადღება ჩამოეშორებინა მალიკის მიერ ამერიკელთა მხეცობის მხილებისათვის და განაცხადა, რომ ზოგი მხეცობა ომში „გარდუვალია". ჯებმა წინადადება შეიტანა კამათი გადაედოთ 48 საათით.

საბჭოთა წარმომადგენელმა მალიკმა გაილაშქრა ამ წინადადების წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ პოლიტიკურ კომიტეტს შეუძლია განაგრძოს სხვა წინადადებათა განხილვა, მაგალითად, გასარჩევ საკითხზე რეზოლუციის საბჭოთა პროექტის განხილვა, ან შეუძლია განიხილოს სხვა საკითხები.

ხანმოკლე მსჯელობის შემდეგ პოლიტიკურმა კომიტეტმა 46 ხმით 5 ხმის წინააღმდეგ (7 დელეგაციამ თავი შეიკავა) მოიწონა ჯების წინადადება, რომ კამათი გადადებულიყო 48 საათით.

მალიკმა მოაგონა სხდომის თავმჯდომარეს ურდანეტას, რომ მალიკის წინადადებისათვის—ეჩვენებინათ ფილმი ამერიკელთა მხეცობის შესახებ, კენჭი არ უყრიათ. ურდანეტამ განაცხადა, რომ იგი ემორჩილება „უმრავლესობას", და სხდომა ასე დახურა, რომ მალიკის წინადადებას კენჭი არ უყარა.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 3 იანვარი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 3 იანვარს გამოაქვეყნა ცნობა:

38-ე პარალელის რაიონში სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეებთან მჭიდრო თანამოქმედებით სპობენ მოწინააღმდეგეს და ავითარებენ შეტევითს ბრძოლებს მთელ ფრონტზე.

კიმ ირ სენის საახალწლო მიმართვა ხალხისადმი

ფხენიანი, 2 იანვარი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდალმა, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ კიმ ირ სენმა კორეელ ხალხს მიმართა საახალწლო წერილით, რომელშიც ნათქვამია:

ძვირფასო თანამემამულეებო, ძმებო და დებო! სახალხო არმიის მამაცო ჯარისკაცებო და ოფიცრებო! პარტიზანებო!

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით მივესალმები და ახალ წელს ვულოცავ მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხს, რომელიც მამაცურად იბრძვის განმათავისუფლებელ სამამულო ომში მტერზე საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად.

შარშან ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა მშვიდობიანი მშენებლობა განგვეგრძო მხოლოდ პირველ ექვს თვეს. მაშინ როცა დანარჩენმა ექვსმა თვემ განვლო ამერიკელ იმპერიალისტთა და ლი სინ მანის გამცემლური ხროვის შეიარაღებული თავდასხმის წინააღმდეგ გაჩაღებულ ომში. ამრიგად, 1950 წელი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში იყო მშვიდობიანი მშენებლობის შეწყვეტისა და საერთაშორისო რეაქციის მთავარი ძალის—ამერიკელი იმპერიალისტების წინააღმდეგ, სამართლიანი, დიდი განმათავისუფლებელი სამამულო ომის წელი.

შეეხო რა სახალხო არმიის საომარი მოქმედების მსვლელობას კიმ ირ სენმა განაგრძო:

ამერიკელ იმპერიალისტთა ინტერვენციამ გამოიწვია მწვავე სიძულვილი და მტრობა და მთელი კორეელი ხალხი დარაზმა დიდი განმათავისუფლებელი სამამულო ომისათვის. კორეის გმირმა სახალხო არმიამ ომის დაწყებიდან ორ თვეზე ნაკლებ ხანს განმავლობაში წინ წაიწია მდინარე ნაქტონგანის სამხრეთ ნაპირამდე და ტეგუს რაიონისაკენ, გაათავისუფლა ჩვენი ქვეყნის მთელი ტერიტორიის 90 პროცენტზე მეტი და მთელი მოსახლეობის 92 პროცენტზე მეტი. განთავისუფლებულ რაიონებში შეიქმნა სახალხო კომიტეტები—სახალხო ხელისუფლების ნამდვილი ორგანოები, განხორციელდა მიწის რეფორმა და სხვა ფართო დემოკრატიული გარდაქმნები.

ომის დაწყებიდან 15 აგვისტომდე მოწინააღმდეგემ დაკარგა 64 ათასზე მეტი კაცი მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვეთა სახით. მან დაკარგა 14 ათასზე მეტი შაშხანა და 2 ათასზე მეტი ქვემეხი. მაგრამ, მიუხედავად ამ უდიდესი ზარალისა, ამერიკელმა იმპერიალისტებმა მოახერხეს მობილიზაცია ეყოთ წყნარი ოკეანის სანაპიროზე მყოფი სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალებისათვის, რომელთა დახმარებითაც ისინი განაგრძობდნენ კორეელი ხალხის წინააღმდეგ აგრესიული ომის გაფართოებას. ამიტომ სახალხო არმია იძულებული გახდა დროებით დაეხია უკან რაცხობრივად ჭარბი მოწინააღმდეგის წინაშე. მტერი, რომელმაც დაიკავა ჩვენი ტერიტორიის მეტი ნაწილი, აწყოვებდა ათეულ ათასობით ჩვენს თანამემამულეს. ამერიკელმა იმპერიალისტმა ავაზაკებმა და ლისინმანელთა გამცემლურმა ხროვამ კორეელ ხალხს წაართვეს კორეის განთავისუფლების შემდეგ მიღებული ყველა დემოკრატიული მონაპოვარი და უფლება. ისინი სჩადიოდნენ სასტიკ მხეცობას, ხოცავდნენ და ძალადობას მიმართავდნენ კორეელი ხალხის ათეულ ათასობით საუკეთესო შვილის წინააღმდეგ.

კორეელი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს ამერიკელ იმპერიალისტ დამპყრობთა და გამცემლური ლისინმანური ხროვის აგრესიასა და ბოროტმოქმედებას და აუცილებლად თავს დაატეხს მათ თავისი შურისგების მახვილს.

მთელმა კორეელმა ხალხმა, რომელიც აღდგა თავისი სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად, თქვა კიმ ირ სენმა, გამოიჩინა მტკიცე ნებისყოფა — მიაღწიოს საბოლოო გამარჯვებას, მიუხედავად ყოველგვარი სიძნელისა და მსხვერპლისა, და ამ საქმეს მოახმაროს ყველაფერი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

ჩაიშალა მტრის ცდა სწრაფად უკუექცია მდინარე იალუძიანისაკენ კორეის სახალხო არმია და ხელში ჩაეგდო მთელი კორეა. ჩვენმა სახალხო არმიამ 2 თვეზე ნაკლებ ხნის განმავლობაში მოახდინა თავისი რიგების რეორგანიზაცია და გააჩაღა კონტრშეტევა. მტრის ზურგში მოქმედ მამაც პარტიზანთა რაზმებთან და ჩინელ მოხალისეთა გმირ ნაწილებთან მამაცი სახალხო არმიის ნაწილების მჭიდრო თანამოქმედების შედეგად, ჩვენ კონტრშეტევის დაწყებიდან ორ თვეზე ნაკლებ ხნის განმავლობაში არა მარტო მთლიანად გარს შემოვერტყით და მოვსპეთ მოწინააღმდეგე, რომელიც მდინარე ჩხონჩხონგანის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში შემოიჭრა, არამედ 6 დეკემბერს გავათავისუფლეთ ჩვენი დემოკრატიული დედაქალაქი ფხენიანი, ამჟამად განთავისუფლებულია მთელი ტერიტორია 38-ე პარალელის ჩრდილოეთით. ჩვენ გავათავისუფლეთ კესონი და ენბიაკი და ჩვენი ნაწილები განაგრძობენ შეტევას სამხრეთისაკენ.

ახლა, განაგრძო კიმ ირ სენმა, მთელი მსოფლიოს ხალხები ნათლად ხედავენ ამერიკელი იმპერიალისტი აგრესორებისა და ლი სინ მანის გამცემლური ხროვის დამარცხებას აგრესიულ ომში ჩვენი სამშობლოსა და ხალხის წინააღმდეგ. ამისი უარყოფა ამჟამად არ შეუძლია არც რეაქციულ ბანაკს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

კიმ ირ სენი ლაპარაკობს იმ უმთავრეს ფაქტორებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ კორეელი ხალხის საბოლოო გამარჯვებას, და აღნიშნავს სახალხო ხელისუფლებისა და ზურგის სიმტკიცეს, კორეის სახალხო არმიის მაღალ ბრძოლისუნარიანობას, რომელიც იბრძვის სამართლიანი საქმისათვის, მილიონობით ადამიანის ფართო სოლიდარობასა და თანაგრძნობას კორეელი ხალხის სამართლიანი ბრძოლისადმი.

მოწინააღმდეგე, თქვა შემდეგ კიმ ირ სენმა, ჯერ კიდევ არ არის მთლიანად განადგურებული. მიუხედავად მიყენებული ძლიერი დარტყმებისა, იგი ცდილობს მიაღწიოს თავის საზიზღარ მიზნებს და სულ უფრო მძვინვარე ხდება. მაგრამ ახლა ინიციატივა ჩვენს ხელშია. განუწყვეტელი შეტევით ჩვენ მოვიპოვებთ ჩვენი სამშობლოს სრულ განთავისუფლებას.

მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ვიყოყოჩოთ და დავკმაყოფილდეთ მოპოვებული წარმატებებით. ჩვენს წინაშე გახსნილია საბოლოო გამარჯვების გზა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ წინ გვიძევს კიდევ მრავალი სიძნელე და დაბრკოლება. საბოლოო გამარჯვება შეგვიძლია მოვიპოვოთ მხოლოდ ყველა სიძნელის გადალახვით გაფართოებულ ბრძოლაში, რომელიც დაკავშირებულია მსხვერპლთან.

1951 წელს რომ განვამტკიცოთ ჩვენი საბოლოო გამარჯვება, ამბობს კიმ ირ სენი, მე მივმართავ ხალხს მოწოდებით მთელი მუშაობა დაუქვემდებაროს ფრონტის საჭიროებას.

კიმ ირ სენი მთლიანად ხალხის წინაშე, მუშების, გლეხების, ინტელიგენციის, სახალხო არმიის მეომრების, პარტიზანების წინაშე აყენებს კონკრეტულ ამოცანებს, რომლებიც მიმართულია მტერზე საბოლოო გამარჯვების უსწრაფესად მიღწევისაკენ.

ძვირფასო თანამემამულეებო, ძმებო და დებო!—ამთავრებს თავის მიმართვას კიმ ირ სენი.—ვეგებებით რა ახალ, 1951 წელს, ყოველი ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რომ მოვიპოვოთ გამარჯვება დიდ განმათავისუფლებელ სამამულო ომში!

მონტგომერი ადენაუერთან გაემგზავრა

ლონდონი, 3 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ეგრეთწოდებული დასავლეთ კავშირის თავდაცვის მუდმივი საბჭოს მთავარსარდლების კომიტეტის თავმჯდომარე ფელდმარშალი მონტგომერი ლონდონიდან გაფრინდა დასავლეთ გერმანიის კანცლერ ადენაუერთან შესახვედრად.

გოტვალდის საახალწლო გამოსვლა

პრაღა, 2 იანვარი. (საკდესი). თავის საახალწლო გამოსვლაში ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კლემენტ გოტვალდმა ილაპარაკა დამთავრებული 1950 წლის შედეგებზე.

მიღებული ცნობების თანახმად, თქვა გოტვალდმა, გასულ 1950 წელს საწარმოო გეგმა მთლიანად ასზე მეტი პროცენტით შევასრულეთ, ამასთან მძიმე მრეწველობის წარმოება შარშან 15,4 პროცენტით გადიდდა 1949 წელთან შედარებით, ეს შედეგები მოწმობენ წარმოების ზრდის ისეთ ტემპს, რომლისთვისაც დღემდე არასოდეს არ მიგვიღწევია. განსაკუთრებით დამაკმაყოფილებელია ჩვენი მძიმე მანქანათმშენებლობის ზრდა, რომელიც საფუძვლად უდევს სოციალიზმის მშენებლობის ჩვენს გეგმას. მძიმე მანქანათმშენებლობის წარმოების დონე 1950 წელს 25 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე 1949 წელს და 50 პროცენტით და უფრო მეტი, ვიდრე 1948 წელს. 1950 წლის დამლევს, განაცხადა გოტვალდმა, ჩვენმა სამრეწველო წარმოებამ აბსოლუტური ციფრებით 50 პროცენტით გადააჭარბა ომამდელ დონეს, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე თუ ვიანგარიშებთ,—80 პროცენტით.

შემდეგ გოტვალდმა აღნიშნა, რომ განსაკუთრებით სწრაფად ვითარდებოდა მრეწველობა სლოვაკიაში. მან აღნიშნა, რომ ასეთ წარმატებათა მიღწევა შეიძლებოდა მხოლოდ იმ სახელმწიფოში, სადაც ხელისუფლებას სათავეში უდგას მშრომელი ხალხი, სადაც შენდება სოციალიზმი.

გოტვალდმა აღნიშნა, რომ 1950 წელს მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი წარმატებანი აგრეთვე სოფლის მეურნეობაში. სოფლის მეურნეობაში, თქვა მან, განვლილი 1950 წელი აღნიშნა წერილი, დაქსაქსული წარმოებიდან სოციალისტურ კოოპერაციულ მსხვილ წარმოებაზე გადასვლის საქმეში ისტორიული მობრუნების დაწყებით. 15 დეკემბრისათვის უკვე თითქმის ყოველ მეორე სოფელში იყო ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ანდა საორგანიზაციო კომიტეტი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესაქმნელად. სოფლების მეოთხედ ნაწილში უკვე არსებობდა უმაღლესი ტიპის კოოპერატივები. ამჟამად 2.271 კოოპერატივმა უკვე გადახნა მიჯნები და კოლექტიურ მეურნეობას ეწევა 1 მილიონ ჰექტარზე მეტ სახნავ მიწაზე. ჩვენი სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორის მიწის ფართობში (სახელმწიფო მეურნეობებთან ერთად) ამჟამად უკვე აღემატება მთელი მიწის ფართობის 22 პროცენტს.

საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულების შედეგად,—თქვა გოტვალდმა,—ხალხის საარსებო დონეც ამაღლდა. მაგალითად, ხელფასი მრეწველობაში გადიდდა 26 პროცენტით, მიწის მუშაკთა შემოსავალი გადიდდა 19 პროცენტით.

შემდეგ გოტვალდმა მოიყვანა მთელი რიგი ციფრები, რომლებიც ახასიათებენ 1950 წელს სურსათისა და სამრეწველო საქონლის მოხმარების სწრაფ ზრდას, აგრეთვე ციფრები, რომლებიც მოწმობენ, თუ რა მიღწევები აქვს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას კულტურული მშენებლობის დარგში.

ახალ, 1951 წელს, თქვა გოტვალდმა, ჩეხოსლოვაკიის ხალხს შეუძლია მიაღწიოს ახალ, უფრო დიდ წარმატებებს, ამას ხელს უწყობს ორი ძირითადი ფაქტორი: უწინარეს ყოვლისა დღემდე მთლიანად გამოუყენებელი არ არის უდიდესი შესაძლებლობანი, რასაც შრომის სოციალისტური ფორმების გამოყენება იძლევა. მან აღნიშნა, რომ მრეწველობაში ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული უდიდესი რეზერვები. მეორე, აღნიშნა გოტვალდმა, ჩვენი მშენებლობა შემდგომ წლებში შეიძლება უფრო წარმატებით იყოს ამიტომ, რომ 1950 წელს ჩვენს საუკეთესო მეგობართან—[illegible] საბჭოთა კავშირთან დადებული ეკონომიური [illegible] და საბჭოთა კავშირის დახმარება მტკიცე საფუძველს უქმნის ჩვენს შემდგომ დაგეგმვას.

გოტვალდმა თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ 1950 წელს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში წინ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯთან ერთად საგრძნობლად განმტკიცდა ჩეხოსლოვაკიის შინაპოლიტიკური მდგომარეობა. განმტკიცდა სახალხო-დემოკრატიული წყობილება, მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის ეროვნული ფრონტი, აგრეთვე ჩეხებისა და სლოვაკების ძმური კავშირი.

შემდეგ გოტვალდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ განვლილ 1950 წელს განმტკიცდა ხელისუფლების ადგილობრივი სახალხო ორგანოები.

შეეხო რა საერთაშორისო მდგომარეობას, გოტვალდმა თქვა, რომ 1950 წელს ახალი იმპერიალისტური ომის გამჩაღებლები გადავიდნენ კორეისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ აგრესიის პირდაპირ აქტებზე. მათ მოახდინეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კუთვნილ კუნძულ ტაივანის ოკუპაცია. ამასთანავე, აღნიშნა გოტვალდმა, 1950 წელს უფრო გაძლიერდა მშვიდობის მომხრეთა უდიდესი მოძრაობა ევროპაში, აზიასა და მსოფლიოს სხვა ნაწილებში. მშვიდობის ამ ფრონტის უდიდესი ძალის საფუძველს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის სტალინური სამშვიდობო პოლიტიკა. ამ ფრონტის სიმძლავრე ცხადყო ასეულ მილიონობით მოქალაქემ, რომლებმაც ხელი მოაწერეს სტოკჰოლმის მოწოდებას, აგრეთვე მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესმა, რომელიც ვარშავაში გაიმართა.

შემდეგ გოტვალდმა განაცხადა, რომ კორეაში წარმოებულ აგრესიასთან ერთად იმპერიალისტები ომის სხვა კერას ქმნიან—დასავლეთ გერმანიაში, რომელიც ჩეხოსლოვაკიის მოსაზღვრეა. იმპერიალისტები ცდილობენ ხელახლა შეაიარაღონ დასავლეთი გერმანია, შექმნან იქ დაქირავებული არმია, რომელიც დამრტყმელი მუშტის როლს შეასრულებს ევროპაში იმპერიალისტების გეგმების განხორციელების დროს. ჩვენ, თქვა გოტვალდმა, ყურადღებით უნდა ვადევნოთ თვალი ყოველივე ამას, მხედველობაში მივიღოთ ეს ჩვენს მომავალ მუშაობაში. ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის სამართლიანი ლოზუნგი—მშვიდობა კი არ უნდა ვითხოვოთ, არამედ ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ. მსოფლიოს ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობით, ჩვენი დროის ყველაზე ბრძენი ადამიანის — სტალინის ხელმძღვანელობით, ჩინელ და კორეელ ხალხებთან ერთად, მთელ მსოფლიოში ასეულ მილიონობით მშვიდობის მომხრეთა რიგებში შეიძლება დავიცვათ საყოველთაო მშვიდობა და ჩვენი სამშობლოს მშვიდობიანი განვითარება, შეიძლება გეგმები ჩავუშალოთ ომის გამჩაღებლებს. ჩვენთვის ეს უწინარეს ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ ვიშრომოთ პატიოსნად და თავდადებით, განვამტკიცოთ ჩვენი სახელმწიფო. განვამტკიცოთ ჩეხებისა და სლოვაკების ძმობა და ჩვენი ხალხის ეროვნული ფრონტი. ეს იმას ნიშნავს, რომ გაძლიერებული ზრუნვა გამოვიჩინოთ ჩვენი არმიისა და ეროვნული უშიშროების კორპუსის მიმართ. ეს იმას ნიშნავს, რომ მუდამ ვიჩენდეთ სიფხიზლეს მტრების ყველა ზრახვის მიმართ.

დასასრულ გოტვალდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ამოცანების შესრულება იმის გარანტია იქნება, რომ ახალი წელი მოგვიტანს ახალ-ახალ წარმატებას, ახალ-ახალ გამარჯვებას მშვიდობისათვის, ხალხის ბედნიერებისა და სამშობლოს აყვავებისათვის ბრძოლაში, სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ჩინელი ხალხი მიესალმება კორეაში მებრძოლ მოხალისეებს

პეკინი, 3 იანვარი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს სრულიად ჩინეთის კომიტეტმა საახალწლო მისალმება გაუგზავნა ჩინელ მოხალისეებს კორეაში. ამ მისალმებაში ნათქვამია:

„ჩვენი ქვეყნის ყველა დემოკრატიული პარტიის, სახალხო ორგანიზაციების და მოსახლეობის ყველა ფენისა და ყველა ეროვნების წარმომადგენელთა სახელით სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს სრულიად ჩინეთის კომიტეტი გულთბილად მოგესალმებათ და ახალ წელს გილოცავთ თქვენ—ჩვენი ქვეყნის გმირ პატრიოტებს.

კორეის სახალხო არმიის მხარდამხარ თქვენ მოიპოვეთ დიდი გამარჯვებანი ამერიკელი აგრესორების წინააღმდეგ ბრძოლაში. თქვენი ბრწყინვალე გამარჯვებანი არა მარტო სამშობლოს უშიშროებას უზრუნველყოფენ, არამედ მთელ მსოფლიოში მშვიდობის გარანტიასაც წარმოადგენენ.

თქვენმა გამარჯვებებმა აღაფრთოვანეს ჩინეთისა და მთელი მსოფლიოს ხალხები და განუმტკიცეს მათ რწმენა, რომ აგრესიის წინააღმდეგ, ხალხის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლა ძლევამოსილად დამთავრდება.

მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხი ყოველმხრივ დახმარებას გაწევთ. გისურვებთ უფრო დიდ გამარჯვებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ კორეის საკითხის სამართლიან გადაწყვეტას".

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე **ი. ნატროშვილი**

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1571 და 49.59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

6 იანვარს

06.45 — მსუბუქი მუსიკის კონცერტი. 08.30 — ნაწყვეტები ჩაიკოვსკის ბალეტ „მძინარე მზეთუნახავიდან". 17.30 — კონცერტი მოსწავლეებისათვის. 18.00—გადაცემა მოსწავლეთათვის—საუბარი: „ქალალდი". 18.20 — ბეთჰოვენის საფორტეპიანო სონატა. 19.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — საუბარი: „ქუთაისელი ახალგაზრდები ორგანიზებულად ატარებენ ზამთრის სასპორტო სეზონს". 19.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 20.30 — კამერული კონცერტი. 20.45 — ქართული ხალხური სიმღერები. 21.10 — საუბარი: ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკა საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველია. 21.40 — ლიტერატურული გადაცემა — რადიოდადგმა მაქსიმ გორკის ნაწარმოებისა „დედა". 23.00 — პოპულარული მუსიკის კონცერტი.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის—„ბახჩისარაის შადრევანი" (დილით), „დუბროვსკი" (საღამოს მე-8 აბ. მე-6 სპექტაკლი); **რუსთაველის სახელობის**—„ხევისბერი გოჩა"; **მარჯანიშვილის სახელობის**—„მარინე"; **სომხური დრამის**—„საიათნოვა"; **მუსიკალური კომედიის**—„თბილისის ცის ქვეშ" (ფილარმონიის საზამთრო თეატრის შენობაში); **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—„მირანგულა" (27-ე აბ. 12 საათზე), „ნათელი გზა" (მე-17 აბ. 7 საათზე); **მოზარდ მაყურებელთა რუსული**—„პოლკის შვილი" (1 აბ. 11 საათზე, მე-2 აბ. 3 საათზე); **სანკულტურის**—ვოდევილების საღამო; **სახელმწიფო ცირკი**—დიდი საცირკო წარმოდგენა (საღამოს).

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1951 წლის 16 იანვარს, დღის 3 საათზე, ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 10) **ირაკლი დიმიტრის-ძე გედევანიშვილი** მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე:

„Трофические изменения в тканях после перерезки седалищного нерва или его ветвей у кролика".

ოფიციალური ოპონენტები: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ა. ბაკურაძე და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი შ. თოფურია.

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომას სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, „ოქტომბერი", „ამირანი", „სპარტაკი", „ისანი", 26 კომისრის სახელობის — „მოსკოვს დაშორებით"; **„თბილისი"**—„ნასრედინი ბუხარაში"; **„კომკავშირელი"**—„სკანდალი კლოშმერლში"; **„დიდუბე"**—„მამაცი ადამიანები".

მოქალაქე **ანდრო გიორგის-ძე ჯაშიაშვილმა**, მცხოვრებმა ცისარტყელის ქ. № 20, აღძრა საქმე კლარა ცეტკინის ქ. № 114 მცხოვრებ მოქალაქე **მერი მიხეილის ასულ გოზალოვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-6 უბნის სახალხო სასამართლო.

დები გაიანე, იულია ვაშაკიძეები, ბიძაშვილები თამარ, ტასო, სიმონ, თამარ სვანიძეები, საშურა, ნინო, მარუსია, ელიოშა ცაგარეიშვილები, ვ. სანაძე, მ. მიხელაშვილი, ზ. რუსიშვილი იუწყებიან **ალექსანდრე ვაშაკიძის** გარდაცვალებას.

შვილები გიორგი, თამარ დავიდოვები, დები მ. მაჭავარიანი, თ. მაკალათია, მაზლი პ. დავიდოვი, სიძე ა. მთვარელიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ 7-I, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ნინო ანტონის ასულ მაკალათია-დავიდოვის** პანაშვიდი.

შორაპნის მე-8 სალიანდაგო დისტანციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ გრიგოლ შალამბერიძეს მისი მამის **ალექსანდრეს** გარდაცვალების გამო.

ი. კვესიტაძე, დ. მოსულიანი, პ. ბურჯანაძე, ი. მათიკაშვილი, პ. თავხელიძე, დ. იაშვილი, ა. კიზირია, ს. ერქომაიშვილი, ნ. ცაგარელი, ვ. ქუთათელაძე, მ. გაბუნია, ნ. ფარანიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნ. კობახიძეს მისი დედის **პელაგია კობახიძის** გარდაცვალების გამო.

მელიტონ, მოსე და ანდრო ნოზაძეები ოჯახებით იუწყებიან მამიდის **მარიამ როსტომის ასულ ფარცხალაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-I, ქ. წულუკიძეში, ლიბკნეხტის, 2.

მთავარი სააფთიაქო სამმართველოს და თბილისის ქსელში მომუშავე ფარმაცევტები იუწყებიან პროვიზორ **რაჟდენ ფარნაოზის-ძე ნიჟარაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-I, ქ. ქუთაისში.

საქართველოს ზოოტექნიკური-სავეტერინარო ინსტიტუტის ზოოტექნიკური ფაკულტეტის V კურსის სტუდენტები თანაგრძნობას უცხადებენ ნ. კობახიძეს მისი დედის **პელაგიას** გარდაცვალების გამო.

შვილი ვანო, რძლები ცაცა, ბაბუცა, კატუშა, შვილიშვილები გივი, დავით, ნაზო, მარგო, ნონა პატარაიები იუწყებიან **პუპი გიორგის ასულ ჟორჟანიძე-პატარაიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6-I, 7 ს. გამოსვენება 7-I, 3 ს. ანაგის, 18. (საბურთალო).

მეუღლე გაბრიელ, შვილები ბადრია, ქენია, გურამ, რძალი თინა, შვილიშვილები როზმარი, მედეა, ელგუჯა იუწყებიან **ელისაბედ თევდორეს ასულ ბარჯაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-I დოესში (კასპის რ.).

ო. ნაშნიანიძე, ა. მენაბდე, ვ. ტურაბელიძე, ვ. ღალანიძე, შ. აბაშიძე, პ. ბილიხიძე, მ. კვაჰანტირაძე, ქ. გაჩეჩილაძე, რ. ბუგიანიშვილი, ს. მაისურაძე, გ. ხურციძე, შ. სარბილაძე იუწყებიან **ვასილ ლევანის-ძე ხაყვარელიძის** გარდაცვალებას.

მ. სეფიაშვილი, თ. შოშიაშვილი, ლ. ყუშიტაშვილი, ქ. მეკოკიშვილი, თ. ფოფხაძე, თ. პატარიძე, ლ. ფირუმოვი, ე. ბაიაძე, ქ. ბილანიშვილი, ლ. ალექსანდრიანი, თ. წერეთელი, პ. ოდიშარია თანაგრძნობას უცხადებენ ნ. ბახტაძეს მისი დედის **ელისაბედ ქაიხოსროს ასულ ბახტაძის** გარდაცვალების გამო.

ვ. ფაშიაშვილი, გ. რატიანი, ლ. აბაიაძე, ნ. ცქიფურიშვილი, ო. ხეჩოევა, ე. ხომეზურაშვილი, მ. ნაცვლიშვილი, ლ. კვანტალიანი, მ. სიხარულიძე, ლ. პაპასკირი, ა. კობალაძე ა. კაპანაძე თანაგრძნობას უცხადებენ ლ. ჩაფიძეს მისი დის **მედეა ბერიანაშვილის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ვენედიქტე, შვილები ირაკლი, თინა, ზემფირა, ელენე, რძალი ეთერ ყიფიანები, სიძე გივი ციციშვილი იუწყებიან, რომ 7-I, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **მარიამ სპირიდონის ასულ ყიფიანის** პანაშვიდი.

მშობლები ელისაბედ, ანტიფო, დება მარიამ, ლიდა, ძმები არჩილ, ლუკა, სოსო ოჯახით, სიძე ვიქტორ იუწყებიან, რომ 7-I, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **თამარ ჯინორიძის** პანაშვიდი.

შვილები ოლია, შალვა, ვერიკო, რძალი ნელი ოდიშარია, სიძე ქ. ბრეგვაძე, შვილიშვილი ოთარ, გიორგი, მაკრა ოდიშარიები იუწყებიან **სპირიდონ ონისიმეს-ძე ნადირაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-I ქუთაისში, სარაჯიშვილის, 53.

მექი, ტიტე, აკაკი, ნიკოლოზ, ივანე, მარიამ, ნატალია, ნინო, ფაცია ფარცხალაძეები ოჯახებით იუწყებიან ბიცოლას **მარიამ როსტომის ასულ ფარცხალაძის** გარდაცვალებას.

შვილი ჰარმენ, რძალი პაპულია, შვილიშვილები ლევა, კოტე ჩანტლაძეები იუწყებიან **ვარდო ალექსის ასულ ჩანტლაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-I, ს. ერკეთში (ჩოხატაურის რაიონი).

ა. ურუშაძე, ვ. წერეთელი, დ. გელოვანი, ვ. შამათავა, გ. ფიქრიშვილი, ი. კვაჭაძე, შ. ჩხარტიშვილი, ა. გიგაური, ვ. ქუმსიშვილი, ქ. გოჩიტაშვილი, ვ. მამათელაშვილი, ა. აირაპეტოვა თანაგრძნობას უცხადებენ ნ. კობახიძეს მისი დედის **პელაგია კობახიძის** გარდაცვალების გამო.

შვილები გედევან და რადიონ, მაზლი მანუელ, რძალი ოლღა, მაზლიშვილები ამედი და ნუგზა ჯაშები იუწყებიან **ნინო ალექსის ასულ ჯაშის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-I, ზომლეთვანში (ჩოხატაურის რ.).

პ. გელოვანი, გ. ტყემალაძე, ი. რაზმაძე, თ. ხატიაშვილი, თ. კოტეტიშვილი, თ. წერუაშვილი, ვ. კერესელიძე, ლონლაძე, ა. ხოშოლავა იუწყებიან **გიორგი სტეფანეს-ძე ენიკოლოფოვის** გარდაცვალებას.

არზიანი, გაორგაძე, ზარანდია, გორგასიძე, მ. კობეშავიძე, ძიძიგური თანაგრძნობას უცხადებენ ნ. მანჯგალაძეს მისი რძლის **ფლორა ივაკიმის ასულ მანჯგალაძის** გარდაცვალების გამო.

ამიერკავკასიის რკინიგზის სალიანდაგო სამსახურის ხელმძღვანელობა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი თანაგრძნობას უცხადებენ გ. შალამბერიძეს მისი მამის **ალექსი შალამბერიძის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე სირანა, შვილები მარო, ნინო, თამარ, სიძეები შალვა ურუშაძე, გიორგი ქუქუნაშვილი, შვილიშვილი ნაირა იუწყებიან, რომ 7-I, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ალექსანდრე ივანეს-ძე ჰეიშვილის** პანაშვიდი.

„სამხრეთზაგოტზერნოს" საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს რ. კუპრავას მისი მეუღლის **ელენე მარკოზის ასულ სანებლიძე-კუპრავას** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ნატაშა, შვილი შურა, შვილიშვილი ჯულიეტი იუწყებიან **ალექსანდრე მათეს-ძე ვაშაკიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6-I, 7 ს. გამოსვენება 7-I, 2 ს. კლდიაშვილის, 13.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო სამეურნეო — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო, ტრანსპორტისა და ინფორმაციის — 3-80-81, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 01202